პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1981 წელი
სამშაბათი
17 მარტი
№ 64 (18006)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

დედამიწისირგვლივ ორბიტაზე

ფრუნის მართვის ცენტრი, 15 მარტი. ეკიპაჟი განაგრძობს პილოტირებული ფრენის რეჟიმში „სალუტ-6“ ხადგურის გადაყვანის ღონისძიებებს. კერძოდ, მოიწყო ენერგოკვების, თერმორეგულირების, გაზის შედგენილობის უზრუნველყოფის სისტემების განკონსერვება.

კომპლექსში დაიწყო უმაღლეს მეცნარეთა განვითარებაზე კოსმოსური ფრენის ფაქტორების გავლენის შესწავლის ბიოლოგიური ექსპერიმენტები.

ფრენის მართვის ცენტრი, 16 მარტი. მესამე დღეა ეკიპაჟი—ვლადიმერ კოვალიონოკი და ვიქტორ სავინიხი „სალუტ-6“-„სოიუზ ტ-4“-„პროგრეს-12“ სამეცნიერო-კვლევითს კომპლექსში მუშაობენ.

დასახული პროგრამის შესაბამისად, კოსმონავტები განაგრძობენ საბორტო სისტემების, ხადგურის მოწყობილობისა და აპარატურის განკონსერვებას, ასრულებენ მათი მუშაობისუნარიანობის საკონტროლო შემოწმებას. ამ ღონისძიებებთან ერთად ეკიპაჟი განაგრძობს „პროგრეს-12“ ხომალდის განტვირთვას.

ხალამოს ხატვირთო ხომალდის ძრავის დამარებით მოეწყობა კომპლექსის მოძრაობის ტრაექტორიის კორექცია.

გვიხმობს ლენინური შაბათობა

მოსკოვის მოწინავე კოლექტივების თაოსნობას — 18 აპრილს მოაწყონ ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 111-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობა, ინდუსტრიულ რუსთავში პირველნი გამოეხმაურნენ მეტალურგიული ქარხნის მშრომელები.

— დიდი თაოსნობა ამჟამად განსაკუთრებულ აზრს იძენს, — თქვა სწარმოს პარტიული კომიტეტის მდივანმა კ. ბაჩრაძემ. — სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი მეთერთმეტე ხუთწლედის დაწყებას აღნიშნავს მნიშვნელოვანი შრომითი მიღწევებით. მომავალ შაბათობაზე, უეჭველია მიღწეული იქნება შრომის უმაღლესი ნაყოფიერება.

ქარხანაში შექმნილია ლენინური შაბათობის ხელმძღვანელობის შტაბი. ბრიგადები, უბნები, ყველა საამქრო ვალდებულებას კისრულობენ 18 აპრილი აღნიშნონ დამკვრელური ვახტით.

მარტენის საამქროს მეფოლადეთა ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი უშანგი ივანიაშვილი, პირობა დადო შაბათობის დღეს იმუშაოს დაზოგილი სწვავით და გეგმის გადაჭარბებით გამოუშვას 100 ტონა ლითონი. ინიციატივას მხარი დაუჭირეს თანამოსაქმე ამხანაგებმა გ. ფანჩვიძემ, ა. ბერიძემ და სხვებმა.

ვალდებულება, რომ 18 აპრილს იმუშაოს დამკვრელურად და გამოუშვან მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია, იკისრეს მილმგლინავებმა კ. შაორშაძემ, გ. გელაშვილმა, საბრძმედე საამქროს მექურეემ ზ. ლომიძემ, საგლინავი საამქროს ოპერატორმა, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატმა ა. ბურჯალაძემ და სხვებმა.

ხუთი ათასზე მეტი მეტალურგი გამოვა 18 აპრილს კომუნისტურ შაბათობაზე. ისინი შეაკეთებენ მოწყობილობას, რკინიგზის ლიანდაგს, თბომავალს, საშეფო საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო მანქანებისათვის დაამზადებენ სათადარიგო ნაწილებს, გამოუშვებენ 30 ათასი მანეთის ზეგეგმით ლითონსროდუქციას.

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის სამკერვალო გაერთიანების კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მოსკოვის მოწინავე საწარმოთა ინიციატივას „წითელი შაბათობის“ მოწყობის შესახებ. მან იკისრა ვ. ი. ლენინის დაბადების 111-ე წლისთავამდე დარჩენილი დრო გამოაცხადოს დამკვრელურად, იბრძოლონ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ნედლეულის ყაირათიანად ხარჯვისათვის, იმ ვარაუდით, რომ 18 აპრილამდე 10 ათასი მეტრი ქსოვილი დაზოგონ.

შაბათობაზე დაზოგილი ქსოვილით, ელექტროენერგიითა და სწვავით 50 ათასი მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ. გამომუშავებული ხელფასიდან მკერავები ხუთწლედის ფონდში 5200 მანეთს გადარიცხავენ.

სკკპ XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის შეჯიბრების დღეებში გუდაუთის ჩაის ფაბრიკაში კომკავშირელმა მფუთავებმა ბელა გაბლიან და დონა ბგანბამ დაიწყეს ახალი მარკის შავი ბაიხაო ჩაის „ოქროს“ გამოშვება.

ამჟამად მზა პროდუქციის საამქროში მუშაობს 25 მფუთავი გოგონა. მაგრამ შრომითი შეჯიბრების ლიდერები კვლავ ბელა და დონა არიან. ისინი სათავეში უდგანან ფაბრიკის მარკის სახელისა და შრომის უმაღლესი ნაყოფიერებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებას. მათი წინადადებით დამფასოებლებმა ფაბრიკაში პირველებმა დაიწყეს ლენინური შაბათობისათვის მზადება. მათ გადაწყვიტეს ვ. ი. ლენინის დაბადების 111-ე წლისთავისათვის გეგმის გადაჭარბებით გამოუშვან ახალი მარკის ორ ტონაზე მეტი ჩაი, შაბათობის დროს იმუშაონ ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვების შემჭიდროებული გრაფიკით და ბრიგადის მთელი გამომუშავებული თანხა ჩარიცხონ ხუთწლედის ფონდში. (საქინფორმი).

პარტიული ხელმძღვანელობის ხელოვნება

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით მიღებული წარუშლელი შთაბეჭდილებით ცხოვრობენ და შრომობენ საბჭოთა ადამიანები. ყრილობამ დასახა ეკონომიკური და სოციალური გარდაქმნების მასშტაბური გეგმები, რომელთა განხორციელება საშუალებას მოგვცემს ვამრავლოთ ჩვენი საზოგადოების მატერიალური და სულიერი დოვლათი, გავაუმჯობესოთ ხალხის კეთილდღეობა.

ახალი მწვერვალები თითოეული კოლექტივისაგან, თითოეული მუშაკისაგან ძალ-ღონისა და ენერგიის სრულ უკუგებას მოითხოვს. ცენტრში და ადგილებზე, აღინიშნა ყრილობაზე, ხახალხო მეურნეობის ყველა რგოლში, ყველა უჯრედში უნდა იზრდებოდეს დასახულ ამოცანათა გაგება, უკეთ ვლინდებოდეს გამოუყენებელი შესაძლებლობანი.

პარტიის წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფა. ქვაკუთხედი, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ საჭიროა კომიტეტებისა და ორგანიზაციების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება.

„რა თქმა უნდა, საოლქო ან რაიონული პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შედეგები ბევრი და ერთობ სხვადასხვაგვარი შესაკრების ჯამია, —თქვა პარტიის XXVI ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. —მაგრამ მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ენერგიულ და კომპეტენტურ პარტიულ ხელმძღვანელობას. თუ თითოეული პარტიული ორგანიზაცია თავის უბანზე გამოიყენებს ყველა რეზერვს, დაამყარებს ჯეროვან წესრიგს ყველაფერში, მთელი ქვეყნის საქმეებიც წინ წავა“.

პარტიული აქტივის ახლა მიმდინარე კრებებზე განიხილავენ სკკპ XXVI ყრილობის შედეგებსა და მის გადაწყვეტილებათა შესრულების ამოცანებს. ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების საკითხები კომუნისტთა ყურადღების ცენტრშია. აზრთა ფართო გაზიარება, მიღწეულისადმი კრიტიკული დამოკიდებულება საშუალებას გვაძლევს საგულდაგულოდ გავაანალიზოთ ორგანიზაციორული და იდეოლოგიური საქმიანობა, შევუჯეროთ იგი ყრილობის მოთხოვნებს. ბუნებრივია, აქ საჭიროა არა ზოგადი მოწოდებანი და თვითნებური ფიქრები, არამედ კონკრეტული, ღრმად მოფიქრებული წინადადებანი, ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფს დასახული გეგმების უთუო შესრულებას.

მოწინავე ხაზზე, მასების შუაგულში მოქმედებენ პირველადი პარტორგანიზაციები. იქ, სადაც პარტიული კომიტეტები ყურადღებას უთმობენ ძირეულ რგოლებს, ზრუნავენ მათი მებრძოლუნარიანობისათვის, შედეგებიც თვალსაჩინოა. ამის მაგალითია პარტიის მოსკოვის, ლენინგრადის, მინსკის საქალაქო კომიტეტების პრაქტიკა. მათ შექმნეს აქტივის სწავლების ვრცელი სისტემა, რომელსაც საფუძვლად დაედო ხაუკეთესო პარტორგანიზაციათა გამოცდილების შესწავლა. გააქტიურდა ამ კომისიების მუშაობა, რომლებიც აკონტროლებენ ადმინისტრაციის საქმიანობას. პარტიული კომიტეტები პერიოდულად ისმენენ პირველადი ორგანიზაციების ანგარიშებს ბიუროების, პლენუმების სხდომებზე, ოპერატიულად ახორციელებენ ჩამორჩენილი კოლექტივებისადმი კონკრეტული დახმარების ღონისძიებებს.

დიდი და მცირე ამოცანების გადაწყვეტის გზაზე ხშირად დაბრკოლებებს ქმნის საუწყებო და ბიუროკრატიული ბარიერები. და აქ პირველი სიტყვა ეკუთვნით სამინისტროებისა და უწყებების პარტკომებს. მათ უფრო გაბედულად და უკომპრომისოდ უნდა დაიცვან საერთო-სახელმწიფო ინტერესები. ჯერჯერობით ეს ყველგან როდი ხდება. მეტი ინიციატივა, მეტი პრინციპულობა! — ასე მოუწოდებს მათ ყრილობის ტრიბუნიდან.

ყველა საქმეს ადამიანი უძღვება. აღმშენებლობის ახალი ეტაპი უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს კადრების შერჩევას, განაწილებასა და აღზრდას. საქმე ეხება მათთვის ისეთი სტილის ჩანერგვას, რომელშიც შემსრულებლობა და დისციპლინა ორგანულად იქნება შეხამებული თამამ ინიციატივასა და ფხიზლობასთან, პრაქტიკულობა და გერგილიანობა — დიდი მიზნებისადმი სწრაფვასთან, ნაკლოვანებებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება —მზადყოფნასთან უფრო სწრაფად დაძლიონ ისინი. ეს თვისებები ყალიბდება და ვითარდება ბეჯითი სწავლის, ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობის პროცესში. გადასაწყვეტ ამოცანათა მზარდი მასშტაბი და სიმრთულე გვიკარნახებს, რომ საჭიროა ავამაღლოთ მუშაკთა პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, მწვავე რეაგირება მოვახდინოთ პარტიული ცხოვრების ნორმებისა და პრინციპების დარღვევებზე. დიდმნიშვნელოვანი ამოცანა იყო და კვლავ არის დასაწყებელი კადრების საიმედო რეზერვის შექმნა.

კადრებისადმი მომთხოვნელობის ამაღლების, ყველა რგოლში დისციპლინის განმტკიცების ქმედითი საშუალებაა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება. საბედნიეროდ, ჯერ კიდევ ყველა მუშაკმა ვერ შეიგნო ერთი ჭეშმარიტება: ხელმძღვანელობის ხელოვნება ის როდია, რომ წამდაუწუმ მა თუ ის საბაბით ვაცხოთ და ვაცხოთ დირექტიული მითითებანი, გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ უნდა მივადწიოთ დადგენილ ვადაში მის განუხრელ შესრულებას. კონტროლის არსი ის არის, რომ სიტყვა და საქმე ერთი იყოს. და კონტროლი მაშინ არის ქმედითი, როცა სისტემატური და ოპერატიულია, ერთდროულად ხდება ქვემოდანაც და ზემოდანაც.

უკეთ რომ ვიცნობდეთ ადგილებზე საქმის ვითარებას, საჭიროა კიდევ უფრო გავაფართოოთ კონტაქტები ადამიანებთან, გავაუმჯობესოთ ყველა მშრომელის ინფორმირება პარტიის ცხოვრების შესახებ. ძალზე ბევრს იძლევა მათთან უშუალო ურთიერთობა, მათი საქმიანი რჩევა. დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა წერილებსა და წინადადებებს როგორც მახვილთან პარტიის ცოცხალი კავშირის არხს. ადგილებიდან მიღებული ხიგნალებისადმი, მოქალაქეთა თხოვნისა და პრეტენზიებისადმი გულისხმიერი, უყურადღებიანი დამოკიდებულება ყველა პარტიულ მუშაკს, ყველა ხელმძღვანელს ხალხისა და პარტიის წინაშე თავის მოვალეობად უნდა მიაჩნდეს.

ხელმძღვანელობის მეთოდების სრულყოფაში არსებითს როლს ასრულებს კრიტიკა და თვითკრიტიკა. უკანასკნელ ხანს კიდევ უფრო განვითარდა საქმის გაუმჯობესების ეს ნაკადი მეთოდი. უფრო ყურადღებით თვალისწინებენ კომუნისტთა კრიტიკულ შენიშვნებს, გაძლიერდა კონტროლი მათი რეალიზაციისადმი. მაგრამ არის შემთხვევები, როცა მუშაკები ცდილობენ თავიდან აიცილონ კრიტიკა. „ერავდნ“ მკითხველები იტყობინებიან კრიტიკის ჩახშობის, ზოგჯერ კი აშკარა შურისძიების შემთხვევებსაც. ეს ფაქტები არ შეიძლება შეშფოთებას არ იწვევდეს. მით უმეტეს, რომ ზოგან ცდილობენ გავლენა მოახდინონ პრესის მუშაკებზე, დაგმონ და დევნონ კიდეც ისინი კრიტიკული გამოსვლებისათვის. ამას ვერ შევუწყნარებთ. არავითარი წყალუება კრიტიკის ჩამხშობთა მიმართ! — ერგდებით. ეს ეთანა როგორც პარტიული, ისე სახელმწიფო კანონის მოთხოვნა.

ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდი, —აღინიშნა ყრილობაზე, —მთელი პარტიისათვის, მთელი ხალხისათვის დიდმნიშვნელოვანი საკითხია. ყოველი პარტიული ხელმძღვანელის პირდაპირი მოვალეობაა ახსოვდეს ეს, ყოველდღე და ყველაფერში ხელმძღვანელობდეს ლენინური ნორმებით.

ჩამოვიდა მინისტრი

10 მარტს მოსკოვში საბჭოთა მთავრობის მოწვევით ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ქნოუპეკი.

აეროდრომზე სტუმარს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირნი.

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცოცხალ საქმედ!

გმირული შრომით ვასახელოთ საბჭოლო!

საქმეთ გამოაჩინა

მან ხუთწლედი გაანაღდა

„ჟიათურმანგანუმის“ სამთამადნო კომბინატში ფართოდ არის ცნობილი ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროსამმართველოს გვირაბგამყვანის, სოციალისტური შრომის გმირის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის გრიგოლ ტყემალაძის სახელი.

ნოვატორი მაღაროელი ყოველთვის ცდილობს მიაღწიოს ახალ რეკორდებს, შრომის უმაღლეს ნაყოფიერებას. მის მიერ შემუშავებული მუშაობის პროგრესული მეთოდები ზრდიან მაჩვენებლებს.

ამ დღეებში წარჩინებულმა მაღაროელმა სამშობლოს მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულება უპატაკა.

სურათზე: „ჟიათურმანგანუმის“ სამთამადნო კომბინატის ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროსამმართველოს გვირაბგამყვანი, სოციალისტური შრომის გმირი გრიგოლ ტყემალაძე.

ა. მაჰაპარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ბოსტნეულის ორი მოსავალი

„კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს

ვანელთა შემოსავლის მთავარი წყარო ვენახია, მაგრამ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სხვა დარგებსაც სათანადო ყურადღება ექცევა. ბოლო წლებში კარგად ვითარდება მებოსტნეობა. ოდითგანვე ცნობილია ეგრეთ წოდებული „ვანური ხახვი“. აქაურები ხახვის უხვ მოსავალს იწევენ. გარდა ამისა, ვანელი მებოსტნეები ყოველწლიურად კიტრის, პამიდვრის, ბადრიჯნისა და სხვა ბოსტნეულ კულტურებსაც უხვად აწარმოებენ.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ წლების მანძილზე გონივრული დაკვირვების შედეგად, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მშრომელთა მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების უახლესი მიღწევების წარმოებაში გაბედულად დანერგვის წყალობით ვანელებმა საგვიანო კომბოსტოს უხვი მოსავალი მოიწიეს.

აი, რას ამბობს სოფელ შუამთის მებოსტნეობა-მერქნეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი პაპუნა შარაშენიძე:

— ზაფხულის პაპანაქებაში საგვიანო კომბოსტოს ჩითილის ბარის სოფლებში გამოყვანა ძნელია, ასე განსაჯეთ, თითქმის შეუძლებელიც. ძნელია ივლისის ან აგვისტოს გაგანია სიცხეში საჩითილე კვლების ყოველდღიური რწყვა, სარეველების წინააღმდეგ ბრძოლა. ესეც არ იყოს, კოლხეთის დაბლობის მაღალი ტემპერატურა ჩითილს აკნინებს, იქ გადასარგავად ვარგის მცენარეს ვერ მივიღებთ და თუ მივიღებთ, კარგ ნაყოფს ვერ მოგვცემს. ცნობილია, რომ ჯანსაღი ჩითილის მიღება პაერის 10_15 გრადუს ტემპერატურაზე მეტ პირობებში სასურველი არ არის. სწორედ ამიტომ იყო, რომ 1979 წელს ექსპერიმენტის სახით კომბოსტო დავთესეთ მთაგორიან სოფლებში, ზღვის დონიდან 1.800 მეტრ სიმაღლეზე. ზაფხულში აქ მცენარე კარგად აღმოცენდა და ჩინებულადაც გაიხარა. კარგად განვითარებული ჩითილი აგვისტოში მთიდან ჩამოვიტანეთ და შუამთის საბჭოთა მეურნეობაში 4 ჰექტარზე გადავრგეთ. ჩითილმა საუკეთესოდ გაიხარა, მცენარემ თავიც კარგად მოიხვია და დეკემბერში, იანვარსა და თებერვალში მუდმივად ვიღებდით მოსავალს. ჰექტარზე საშუალოდ 185 ცენტნერი კომბოსტო მოვიწიეთ...

აღსანიშნავია, რომ კოლხეთის დაბლობზე საგვიანო კომბოსტოს მოყვანა პირველად ვანელმა მებოსტნეებმა დაიწყეს. შარშან მთიდან ჩამოტანილი ჩითილი 26 ჰექტარზე გადარგეს და საშუალოდ ჰექტარზე 250 ცენტნერი კომბოსტოს მიიღეს.

საყურადღებოა ისიც, რომ საგვიანო კომბოსტო მოჰყავთ შუალედური კულტურების სახით, ირგვება აგვისტოში და მოსავალს იღებენ ზამთარში. ამ საქმის უპირატესობას ისიც მოწმობს, რომ ზამთარში მოსავალს პირდაპირ მინდვრიდან მაღაზიას ვუგზავნით, რადგან ჩვენს პირობებში (თბილი ზამთარი) ეს შესაძლებელია. ამიტომ აღარ გვჭირდება სპეციალური შესანახი საწყობები და მაცივრები. ამასთან, როგორც ამბობენ, ზამთრის კომბოსტო ვიტამინებით უფრო მდიდარი და სასარგებლოა ადამიანისათვის.

— ჩვენი რაიონის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია მთიან ადგილებს,—ამბობს რაიკომის პირველი მდივანი ნ. ანდრიაძე, — სადაც სუსტად ან სრულიად არ არის განვითარებული მიწათმოქმედება. განზრახული გვაქვს დაყამირებული და მიტოვებული, გამოუყენებელი მიწები ავითვისოთ და ზღვის დონიდან 1.200 მეტრ სიმაღლეზე არსებული — სულ ცოტა 100 ჰექტარ სავარგულზე მოვიყვანოთ კომბოსტო და კარტოფილი. და აი, როგორ: საჩითილე კომბოსტოს ბარში მარტსა და აპრილში დავთესავთ, მთაში კი ავიტანთ და გადავარგავთ მაისში, სადაც, როგორც შემოწმებამ ცხადყო, იდეალურად ხარობს ჩითილი. მოსავალს კი აგვისტოსა და სექტემბერ-ოქტომბერში ავიღებთ. განზრახული გვაქვს აგრეთვე მაღალი მთის სოფლების —გადიდის, ყუმურის, საპრასტიის და სხვა კოლმეურნეობების მშრომელებს, კოოპერირების წესით, მივცეთ საკმაო რაოდენობის კარტოფილის თესლი და კომბოსტოს ჩითილი. მოსავლის დიდი ნაწილი მათ განკარგულებაში დარჩება.

ვანელ მებოსტნეებს წელს გადაწყვეტილი აქვთ მთის პირობებში გამოიყვანონ მაღალხარისხოვანი საგვიანო კომბოსტოს ჩითილი, რომლითაც დაბლობში 100 ჰექტარზე დაირგვება კომბოსტო. აქედან ზამთრის თვეებში მომხმარებელს მისცემენ სულ ცოტა 25.000 ცენტნერ კომბოსტოს. ისიც უნდა ითქვას, რომ საგვიანო კომბოსტოს მოსავლის

ვანელთა გამოცდილება ყურადსაღებია!

„კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს

აღების შემდეგ ფართობზე რჩება დიდძალი ნარჩენები (ჰექტარზე ათობით ცენტნერი მწვანე მასა), რომელიც პირუტყვისათვის ძვირფასი საკვებია.

მებოსტნეები მთელი მონდომებით იღვწიან, რათა, ბოლოს და ბოლოს, ვანში უფრო გავრცელდეს ძვირფასი ჯიშის „ყვავილოვანი კომბოსტო“. სპეციალისტების მტკიცებით, ამ კულტურის განვითარებისათვის აქ კარგი პირობებია. ამაში ვანელებს უნდა დაეხმარონ საქართველოს „ბოსტანჯიმეესლის“ რესპუბლიკური გაერთიანების მუშაკები.

ერთი სიახლეც:

ვანის რაიონი მდიდარია თერმული წყლებით. გასულ წელს ექსპერიმენტის სახით მოეწყო კვალსათბურები, რომლებიც ბუნებრივი ცხელი წყლით თბებოდა. აქ პამიდვრისა და ბადრიჯნის მაღალხარისხოვანი ჩითილები 20_25 დღით ადრე გამოიყვანეს, რამაც მოსავლის მიღება ადრეცვე დროით დაჩქარა. თერმული წყლების ბაზაზე დიდ ფართობებზე კვალსათბურების მოსაწყობად მუშაობა დაწყებულია. საჭიროა ამ საქმის დაჩქარება, რომ სასურსათო პრობლემების ხელშემწყობი რეზერვები აამოქმედონ.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მილეგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ 14 მარტს მიიღო ქალაქების ბაქოს, ერევნისა და სვერდლოვსკის დელეგაციები, რომლებიც მონაწილეობდნენ 1980 წლის შედეგებით სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის საქართველოს დედაქალაქისათვის გადაცემისადმი მიძღვნილ თბილისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაში.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ბაქოს, ერევნის, სვერდლოვსკისა და თბილისის სოციალისტურ შეჯიბრებას. ჩვენი ქალაქების შეჯიბრების ახალი ხელშეკრულების დადება, ხაზგასმით აღინიშნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, გაიმართა სკკპ ისტორიული XXVI ყრილობის შემდეგ, რომელმაც დასახა კომუნისტური აღმშენებლობის გრანდიოზული გეგმები. ხელშეკრულებამ უნდა დარაზმოს მშრომელები ამ გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, განამტკიცოს სსრ კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობა.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ შეჯიბრების მონაწილე ქალაქების მშრომელებს უსურვა დიდი წარმატებანი კომუნისტურ შშენებლობაში სამშობლოს საკეთილდღეოდ.

დელეგაციათა ხელმძღვანელებმა — აზერბაიჯანის კომპარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის მდივანმა ტ. დ. ახუნდოვმა, სომხეთის კომპარტიის ერევნის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ა. ა. დანიელიანმა და სვერდლოვსკის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ პ. მ. შამანოვმა მადლობა გადაიხადეს საქართველოს დედაქალაქში გაწეული გულითადი მასპინძლობისათვის და გამოთქვეს რწმენა, რომ ქალაქების შრომითი მეტოქეობა ახალ სტიმულს მისცემს სკკპ XXVI ყრილობის წინასწარდასახულობათა წარმატებულ შესრულებას.

მიღებას დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი და საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ზ. შ. მესხიშვილი. (საქინფორმი).

მანქანებს—მეტი გამძლეობა, მიწას—მეტი ბარაქა

მექანიზატორის შრომის შემოქმედებითი ბუნება თითქოსდა შეუმჩნეველია, მაგრამ იგი რეალური, ხელშესახებია. იმისათვის, რომ მივიღოთ ორი მარცვალი იქ, სადაც ერთს ვიღებდით, არა მარტო გულდასმით უნდა ვიზრუნოთ მიწისათვის, არამედ დღენიადაგ უნდა ვითვისებდეთ მიწათსარგებლობის მოწინავე ხერხებს, ვნერგავდეთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის პროგრესულ ტექნოლოგიას, დღენიადაგ ვიმაღლებდეთ კვალიფიკაციას.

მექანიზატორი თანამედროვე სოფლის მეურნეობის ცენტრალური ფიგურაა. მის ცოდნაზე, პროფესიულ ოსტატობაზე, გამოცდილებაზე, იმაზე, თუ როგორ ეკიდება იგი საქმეს, უდიდეს წილად არის დამოკიდებული კოლმეურნეობისა თუ საბჭოთა მეურნეობის მუშაობის საბოლოო შედეგები.

საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ თბილისში მექანიზატორები თავიანთ პირველ რესპუბლიკურ შეკრებაზე. სწორედ მათ, სოფლის მექანიზატორებმა, უნდა შეასრულონ გადამწყვეტი როლი სასურსათო პროგრამის განხორციელებაში, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მუშავდება.

შეკრებაზე მოწვეული იყვნენ რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა

მექანიზატორთა რესპუბლიკური შეკრება

და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, რაიონული სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა, სამმართველოთა უფროსები და გაერთიანებათა თავმჯდომარეები, „საქსახსოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებათა და გაერთიანებათა მმართველები, მექანიზაციის რაიონული სამეურნეობათაშორისო გაერთიანებათა ხელმძღვანელები, რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, მეცნიერები, სპეციალისტები, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავენი, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები.

შეკრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

შეკრებილთ გულთბილად მიესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, რომელმაც შესავალ სიტყვაში თქვა, რომ ახლანდელი შეკრება მომდინარეობს ღირსშესანიშნავ დროს. მუშაობა დაამთავრა სკკპ XXVI ყრილობამ, რომელმაც საბჭოთა ადამიანებს დაუსახა მიზანი — მიაღწიონ ახალ მიჯნებს სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროში. საქართველოს მშრომელთა ძალების ახალი მოზღვავება გამოიწვია იმან, რომ რესპუბლიკა ზედიზედ მერვედ დაჯილდოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

არ დათმონ მოპოვებული პოზიციები, ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXVI ყრილობის გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის, აღინიშნონ საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავი, მთელი მეთერთმეტე ხუთწლედი მაღალი შრომითი წარმატებებით — ეს არის ქართველ მექანიზატორთა, სოფლის მშრომელთა, ყველა იმათი მოვალეობა, ვისზეც დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობა.

(დასასრული მე-2 გვ.).

სურათზე: რესპუბლიკის მექანიზატორთა შეკრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მექანიზატორი ეთერ გაბეჩავა, ზუგდიდის რაიონის [illegible]ის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ჯუმბერ ჩაბალუა, ზნაურის რაიონის მუგუთის კოლმეურნეობის მექანიზატორი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ყ. ჭელეხსაევი, მაზარაძის რაიონის ნარეჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე მარიამ ლაფერაშვილი, კახეთის რაიონის სოფელ ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი ნათელა ბუთხუზი, „საქსახსოფლტექნიკის“ გორის რაიონული გაერთიანების ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი გიორგი ცერცვაძე და მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ კომპლექსური რგოლის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ცისანა თალაკვაძე.

ვ. გენგიშერის ფოტო.

ხალიბური ფოლადის სიმტკიცით!

ახალგაზრდების სამომავლო ბჭობა

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის ღუმელიდან ყოველდღიურად ლითონის გავარვარებული ნაკადი მოედინება და ოცდაათი წელია ქართული ფოლადის სიმტკიცის საგალობელს მღერის. რუსთავი ხომ მეტალურგთა ქალაქია და არც იყო გასაკვირი, რომ საქართველოს ახალგაზრდა მეტალურგთა პირველი რესპუბლიკური შეკრება სწორედ აქ გაიმართა.

შეხვედრა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის თაოსნობით მოეწყო და ამიერიდან რესპუბლიკაში კიდევ ერთმა შესანიშნავმა წამოწყებამ დაიმკვიდრა თავისი ადგილი. ეს შეკრება შთაგონებული იყო სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებთან, რომელთა ღირსეულად შესრულებისათვის საჭიროა ახალგაზრდული გულიც და შემართებაც.

და აი, დილაადრიანად რუსთავში ჩამოვიდნენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა, ჭუთაისის საავტომობილო, თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო და დიმიტროვის სახელობის საავიაციო და ელმავალსაშენებელი ქარხნებიდან. ეს დღე მათ არასდროს არ დაავიწყდებათ.

სტუმრებმა ინტერესით დაათვალიერეს საწარმო, გაეცნენ მეტალურგთა მრავალათასიან კოლექტივს, ერთმანეთს გაუზიარეს შთაბეჭდილებები, მერე კი სტუმრმასპინძლებმა მარტენის საამქროში ერთად გამოუშვეს მეგობრული ნადნობი. ეს იყო შეკრების ერთ-ერთი დასამახსოვრებელი მომენტი, რამაც ერთხელ კიდევ გვაგრძნობინა, რომ ფოლადთან შერკინება მხოლოდ ძლიერი სულის ადამიანებს წუნდელიათ.

ახალგაზრდებმა ყველაფერი გვირგვინით შეამკეს პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლი და წუთიერი დუმილით პატივი სცეს მის ხსოვნას. მოედნიდან პირდაპირ იაღლუჯის ფერდობებისაკენ გაემართნენ, სადაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ახალგაზრდა მეტალურგთა ხეივანს, დაირგო პირველი ხეები, შემდეგ კი ქარხნის საზეიმო დარბაზში გაიმართა შეკრების მონაწილეთა სხდომა. ახალგაზრდებს მიესალმა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ორჯონიკიძე.

— ჩვენ შევიკრიბეთ მაშინ, — თქვა მან, — როდესაც მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი, ჩვენი ახალგაზრდობა აღფრთოვანებულია სკკპ XXVI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმადშინაარსიანი მოხსენება აზალ ამოცანებს უსახავს ახალგაზრდობას, მათ შორის საქართველოს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, თქვენ, მეტალურგებს, რომელთა წვლილი უსაზღვროა ჩვენი სახალხო მეურნეობის, მძიმე ინდუსტრიის განვითარებისა და წინსვლის საქმეში. გვჯერა, რომ ეს შეკრება შობს ახალ ინიციატივებსა და თაოსნობებს, რომლებსაც რესპუბლიკის მთელი ახალგაზრდობა გამოეხმაურება, რათა ერთიანი ძალით ვიბრძოლოთ პარტიის მიზანდასახულობათა უთუო შესრულებისათვის.

სხდომაზე ვრცელი მოხსენება წაიკითხა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. შჩერბაკოვმა.

დღეს საქართველოს მეტალურგიულ წარმოებებში ოთხი ათასხუთასზე მეტი კომკავშირელი, ოთხმოცდაორი ახალგაზრდულ-კომკავშირული კოლექტივი შრომობს. რესპუბლიკაში თავიანთი სასახელო საქმეებით ცნობილი არიან ზ. ძნელაძე, ა. ბურჯანაძე, გ. ვაკელიშვილი, თ. მარუაშვილი, შ. გიორგაძე, დ. კუპატაძე, ი. ქუქჩიშვილი, ა. ხიხაძე და სხვები. აღინიშნა, ასევე ასეთი მუშაკი შეგვიძლია დავასახელოთ, მაგრამ მთავარია, რომ ჩვენ გვყავს მისაბაძი ახალგაზრდები, რომელთა იმედიც გვაქვს, რომ ნებისმიერ დავალებას შეასრულებენ, ისინი სანიმუშონი შეიძლება იყვნენ დარგის ყველა ახალგაზრდა მუშაკისათვის.

— დღეს რუსთავის მეტალურგიული ქარხანა რესპუბლიკის მეტალურგთა პირველი შეკრების მონაწილეებს მასპინძლობს, — ამბობს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ბ. ძნელაძის სახელობის მარტენის საამქროს მეფოლადის ხელშემწყობი თ. მარუაშვილი,—წარმატებები რუსთაველ ფოლადის ოსტატთა შრომითი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია, კერძოდ, იმ ბრიგადამ, რომელშიც მე ვმუშაობ, წლის დამდეგიდან სახელმწიფოს რვაას ტონაზე მეტი ფოლადი მისცა. მაგრამ მიღწეული ზღვარი როდია. მეთერთმეტე ხუთწლედის გრანდიოზული ამოცანების შესასრულებლად უფრო მეტი მობილიზებაა საჭირო.

შეკრებაზე ახალგაზრდა სპეციალისტებს მიესალმა თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის „მეკოპეთა ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი გ. კურტანიძე, შემდეგ გამოვიდნენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი თ. ბასილაძე, ჭუთაისის საავტომობილო ქარხნის სამსხმელო საამქროს ტექნოლოგი ა. ბენიძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი კ. ბაქრაძე და სხვები.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა რესპუბლიკის ახალგაზრდობისადმი. აქვე მოხდა წარჩინებული ახალგაზრდა მუშების დაჯილდოება. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელით დაჯილდოვდა შეკრების რამდენიმე მონაწილე, ხოლო საქართველოს კომკავშირის პრემია გადაეცა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს „დგან 400“-ის მეორე კომკავშირულ-ახალგაზრდულ ბრიგადას (ხელმძღვანელი — რ. ლომიძე, კომორგი — გ. ლაცაბიძე). სოციალისტური ვალდებულებების ახალი ხელშეკრულებები გაფორმდა რუსთავის, ზესტაფონის, თბილისისა და ქარხნების ცალკეულ ახალგაზრდულ ბრიგადებს შორის.

შეხვედრის მონაწილენი ფართოდ გამოეხმაურნენ ახალ თაოსნობას — „თითოოეული კომკავშირელი ქალიშვილი და ჭაბუკი — მეთერთმეტე ხუთწლედის წინა ხაზზე!“; „თითოოეულისაგან — შესაძლებლობის მაქსიმუმი!“ — და აღუთქვეს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, რომ ყველანაირ იღონებენ იმისათვის, რათა კიდევ უფრო განამტკიცონ რესპუბლიკის პრესტიჟი და თავიანთი [illegible] წარმატებებით ავსებენ [illegible] იგი.

ახალგაზრდობა ქმნის ნათელ მომავალს, ჩვენი ცხოვრების უკეთეს მერმისს; იმედია, რომ ახალგაზრდა მეტალურგთა პირველი რესპუბლიკური შეკრება მომავალი გამარჯვებების საწინდარი იქნება. ჩვენი ჭაბუკების სიტყვა და საქმე ხალიბური ფოლადივით ხალასი და მტკიცე უნდა იყოს!

ლ. ქინქლაძე.

სურათზე: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი ო. ლომიძე (მარჯვნიდან მესამე) ესაუბრება შეკრების მონაწილეთა ერთ ჯგუფს— თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სამსხმელო საამქროს მდნობელს დ. კეკაშვილს (მარცხნიდან), თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მეყალიბეს დ. არეშიძეს, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 1 საამქროს მდნობელს კ. გოგბერაშვილს, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს ოსტატს რ. ლომიძეს და ზესტაფონის № 2 საამქროს მდნობელს თ. ბოგორიშვილს.

ვ. გენგიურის ფოტო.

მანქანებს—მეტი გამძლეობა, მიწას—მეტი ბარაქა

(დასასრული)

შეკრებაზე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა შ. ეცადაშვილმა და „საქსახსოფლტექნიკის“ თავმჯდომარემ დ. სარიშვილმა გააკეთეს მოხსენებანი: „რესპუბლიკის სოფლის მექანიზატორთა ამოცანები მეთერთმეტე ხუთწლედში სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“ და „საქსახსოფლტექნიკის“ ამოცანები სოფლის მეურნეობაში საინჟინრო სამსახურის განმტკიცებისა და მექანიზაციის დონის ამაღლებისათვის“.

მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობდნენ კასპის რაიონის ოკომის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი ნ. ბუთხუზი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი ვ. მეტრეველი, წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ა. სეფიაშვილი, ზუგდიდის რაიონის ინგირის. ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი კ. ქობალია, ახალციხის რაიონის სოფელ ვალეს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. გოზალიშვილი, აჭარის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციის განყოფილების უფროსი ი. ჩიგოგიძე, აბაშის სოფლის მეურნეობის მართვის საწარმოო გაერთიანების მექანიზატორი რ. ლაბარტყავა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ი. ზედგენიძე, წალკის რაიონის მექანიზაციის სამმართველოს უფროსი ა. მელეტოვი, წალენჯიხის რაიონის წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი გ. სახოკია, ცხინვალის „საქსოფლტექნიკადამ ხ ე დ ვ ე ლ ო ბის“ რაიონული სამმართველოს ინსპექტორი ვ. ჯოხაძე, „საქბაგირგზის“ მთაკარი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების უფროსი შ. ორჯონიკიძე, გურჯაანის რაიონის № 13 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე მ. ქიტესაშვილი, „საქსოფლქიმიის“ გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე გ. ჭარაყაშვილი, „საქსახსოფლტექნიკის“ მახარაძის რაიონის გაერთიანების მმართველი ვ. კვირკველია, ქარხანა „საქსოფლმანქანის“ დირექტორი თ. სტურუა, საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური ლაბორატორიის ხელმძღვანელი შ. კერესელიძე.

კარგი გუნება-განწყობილებით დაიწყეს საქართველოს მშრომელებმა ახალი ხუთწლედი, აღინიშნა მოხსენებებსა და გამოსვლებში. განვლილი ხუთი წლის მანძილზე გაწეულია უდიდესი მუშაობა სკკპ აგრარული პოლიტიკის განხორციელებისათვის, სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობისათვის. პარტიისა და მთავრობის ზრუნვის მეოხებით ახალ დონეზე ავიდა სასოფლო-სამეურნეო შრომის მექანიზაცია. მეათე ხუთწლედის მანძილზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას მოხმარდა მილიარდ 600 მილიონი მანეთი კაპიტალდაბანდება, რაც 6 პროცენტით მეტია, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში. ამავე პერიოდში საქართველოს სოფლემა მიიღო თითქმის 16 ათასი ტრაქტორი, ათასი კომბაინი, 12 ათასი სატვირთო ავტომობილი, მაღალინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს შეემატა 83 ათას ჰექტარზე მეტი სარწყაყავი და დაშრობილი მიწები. მექანიზაციის დონე მემცენარეობაში ამოლდა 12 პროცენტით, ხოლო მეცხოველეობაში — 16 პროცენტით. 65 პროცენტით მექანიზებულია შრომატევადი მოსავლის ასაღები სამუშაოები მეკარტოფილეობაში, მეჭარხლეობასა და მესიმინდეობაში. მარტო 1980 წელს მობილური და ხელის აპარატების საშუალებით რესპუბლიკაში მოიკიფა თითქმის 80 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ფართოდ ვითარდება სიმინდის მოვლა-მოყვანის ინდუსტრიული ტექნოლოგია. შარშან თავთავიანი კულტურების აღებაზე მუშაობდა 280 კომპლექსური მექანიზებული რგოლი, რომლებიც იპატოვოელ მიწათმოქმედთა გამოცდილებისამებრ შეიქმნა, 225 საკვების მომპოვებელი და 57 მეკარტოფილეობის რგოლი.

მექანიზაციამ მტკიცედ მოიკიდა ფეხი მეცხოველეობის ფერმებში. მაგალითად, ამა წლის პირველი იანვრისათვის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ფერმებში 54 პროცენტით მექანიზებულია საკვების დარიგება.

საწარმოო პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციაში ახალი ეტაპი გახდა ყურძნის კრეფის პროცესის მართვის ავტომატიზებული სისტემის — „რთველის“ დანერგვა მევენახეობაში. უახლოესი წლების მანძილზე ეს სისტემა დაინერგება სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც. მაგრამ, აღინიშნა შეკრებაზე, უნდა ვალიაროთ, რომ მექანიზაციის დარგში ერთგვარი პოზიტიური ძვრების მიუხედავად, მისი დონე ზოგიერთი ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოვლა-მოყვანასა და აღებაში ჩვენთან არ აღემატება 25-30 პროცენტს, მცირეა ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამომუშავება. ყველა ახლანდელი მანქანა როდი აკმაყოფილებს მთიანი საქართველოს მრავალფარგოვანი სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებებს. ეს იგრძნობა მინდვრის სამუშაოთა დროს წვრილკონტურიან ნაკვეთებზე, განსაკუთრებით მთებში, სადაც სერიული ტექნიკის გამოყენება შეზღუდული, ზოგჯერ კი შეუძლებელიცაა. ამ და სხვა მიზეზების გამო სოფლის მშრომელის შრომის ენერგოგადუჭვრილოსა ორ-სამჯერ ნაკლებია საშუალო საკავშირო მაჩვენებელთან შედარებით.

მთლიანად როდია გამოყენებული არსებული ტექნიკა. არადა მცირემოწიანი საქართველოსათვის ტექნიკის შესაძლებლობათა ეფექტიანი გამოყენება ლამის სავარგულების მოსავლიანობის გადიდების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთლიანი მოსავლის გაზრდის გადამწყვეტი ფაქტორია. მაგრამ ისიც ხდება ხოლმე, რომ მექანიზებულ მეურნეობებში მცირე მოსავალს იწვევენ, ტექნიკა ზოგჯერ ცდება, მანქანებსა და სასოფლო-სამეურნეო იარაღებს სათანადოდ არ უვლიან, იყენებენ ღია ცის ქვეშ. უყაირათობის, უპასუხისმგებლობის ასეთი ფაქტები, აღინიშნეს შეკრების მონაწილეებმა, ჯერ კიდევ არის. მეურნეობების, მექანიზაციის სამსახურების ყველა დაუდევარი ხელმძღვანელისადმი მკაცრი ბრალდება იყო კონსულტანტი, რომელიც საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კინომოყვარულებმა გადაიღეს და შეკრების მონაწილეებს უჩვენეს. ფილმის კადრებში ნაჩვენებია საქმისადმი სხვადასხვა მიდგომა. გადაღებულია ტექნიკისადმი მზრუნველი დამოკიდებულების მაგალითები, როცა მანქანებს ინახავენ სპეციალურ ფარდულებქვეშ, სპეციალურ მოედნებზე. თვალს ახარებს ახლადშეღებილი, შეკეთებული აგრეგატები, რომლებიც მზად არის მინდორში გასასვლელად. შემდეგ ეკრანზე გამოჩნდა „განკომპლექტებული“, გზებზე, მინდვრებში მიგდებული ტრაქტორები, სათესელები, კომბაინები, რომლებიც ჯარის უფრო წაგავს. და ასეთ ფაქტები, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათია.

აღინიშნა აგრეთვე, რომ ჩამორჩება გაზაფხულისათვის ტექნიკის მომზადება. საკმარისია ითქვას, რომ დღესდღეობით მინდვრის სამუშაოებისათვის მზად არ არის ოთხი ათასი ტრაქტორი. ეს მთა უფრო დაუშვებელია, რომ დღითი დღე ჩქარდება თესვის კამპანიის ტემპი, მეურნეობებს სჭირდებათ ხარისხიანად მომზადებული მანქანები და მექანიზმები, კვალიფიციური ტრაქტორისტები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მექანიზატორთა კადრების მომზადების საკითხს. მათი არმია სულ უფრო მრავლდება. ტრაქტორების მაღალ გამომუშავებას მიაღწიეს, მაგალითად, სოციალისტური შრომის გმირებმა ი. აღექსაშვილმა (საგარეჯოს რაიონი) და ი. მელიქიშვილმა (წითელწყაროს რაიონი). მათი ბრიგადები მარცვლეულის ნათესების ყოველ ჰექტარზე იღებენ მყარ მოსავალს — სულ ცოტა ოცდაათორმოც ცენტნერ მარცვლეულს. დიდ ჰექტარობრივ მოსავლიანობას მიაღწიეს სოციალისტური შრომის გმირმა გ. ცერცვაძემ (გორის „საქსახსოფლტექნიკის“ გაერთიანება), ტ. ახობაძემ და ი. სტორჩაკმა (აბაშის რაიონი), შ. გაბარაიევმა (სამხრეთ ოსეთი) და მრავალმა სხვამ. ყველასთვის ცნობილია სოციალისტური შრომის გმირების მეჩიიე-მექანიზატორების ვ. მეუნარგიას, გ. სახოკიას, აგრეთვე ნ. ხასაიას სახელები, რომლებსაც დღეს მხარს უსწორებს ახალგაზრდობა. ტექნიკის დიდმწარმოებლური გამოყენების მაგალითს იძლევიან მექანიზატორი ქლები, და თუ გუშინ მათი რიცხვი ჯერ კიდევ მცირე იყო, დღეს ელენე ნატროშვილს — საქართველოში პირველ ტრაქტორისტ ქალს ათობით მომდევარი ჰყავს. და ამას უნდა მივესალმოთ.

ამასთან მექანიზატორთა კადრების მომზადებაში არსებითი პრობლემებიც არის. ერთ-ერთი მთავანია სოფლად კადრების შენარჩუნება. საიდუმლო არ არის, რომ უმაღლესი თუ საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მეტწილად ახალგაზრდობა არ რჩება სამუშაოდ კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში, იცვლის პროფესიას. ხშირად ეს გამოწვეულია იმით, რომ ხელმძღვანელებს არ შესწევთ უნარი მიიზიდონ ახალგაზრდები, შეუქმნან ქალიშვილებსა და ჭაბუკებს ნაყოფიერი მუშაობის პირობები. ეს ეხება მექანიზატორთა შრომის მორალური და მატერიალური სტიმულირების საკითხებსაც. ამავე დროს აღინიშნა, რომ მაგალითად, აბაშის რაიონში გამონახეს მექანიზატორთა შრომის ანაზღაურების სწორი ფორმები. ამან გავლენა მოახდინა შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, საბოლოო შედეგის მიღწევაზე — სიმინდისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებაზე.

ბევრ მეურნეობაში მექანიზატორთა კადრების ნაკლებობის გამო ტექნიკას არ იყენებენ სრულად, აჭიანურებენ მინდვრის სამუშაოთა ვადებს, არღვევენ აგროტექნიკის მოთხოვნებს, რაც მოსავლის დანაკარგს იწვევს.

მექანიზატორთა კადრების მომზადების გაუჯობესებისათვის ზრუნვა, მათი ოსტატობის დახვეწა პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

შეკრებაზე დიდი ყურადღება დაეთმო სოფლის საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის მუშაობას, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს მანქანებისა და მოწყობილობის მაღალ საექსპლოატაციო მზადყოფნას, მათ ეფექტიან გამოყენებას. სამსახურს შეემატა კვალიფიციური ინჟინრებისა და ტექნიკოსების რაზმები, განმტკიცდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მეურნეობებში სრულყოფდნენ ოსტატი-გამმართველების მიერ ტექნიკის სპეციალური მომსახურების ფორმებს, „სახსოფლტექნიკის“ სარემონტო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების სახელოსნოებში გამოიყენეს მანქანებისა და მათი კვანძების შეკეთების, დეტალების აღდგენის პროგრესული ტექნოლოგია. სოფლის საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის დიდმნიშვნელოვან წამოწყებათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ მეურნეობათა გარანტირებული მომარაგება სათადარიგო ნაწილებით, პროდუქციის ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემის დანერგვა.

ამ სამსახურს ახალ ფართო პერსპექტივებს უსახავს სამეურნეობათაშორისო გაერთიანებებისა და საწარმოების შექმნა, უწინარეს ყოვლისა ისეთებისა, რომლებიც დასაცალიტებული არიან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და ენერგეტიკული საშუალებების გამოყენებაზე.

მაგრამ სოფლის საინჟინრო სამსახურში ჯერ კიდევ ბევრი გადასაჭრელი პრობლემაა. ბევრ მეურნეობაში ტექნიკას ჯერჯერობით დამაკმაყოფილებლად არ იყენებენ. ტრაქტორებისა და კომბაინების წლიური და დღიური გამომუშავება ნელა მატულობს. მძლავრი და ენერგოტევადი ტრაქტორებიც კი ერთ ცვლად მუშაობენ. ცუდი მოვლისა და ექსპლოატაციის წესებს დარღვევით ბევრი მანქანა დროზე ადრე გამოდის მწყობრიდან და ჩამოიწერება. უყაირათოდ იხარჯება საწვავ-საპოხი მასალები. არის უხარისხო რემონტის ფაქტები როგორც „სახსოფლტექნიკის“ საწარმოებში, ისე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახელოსნოებშიც. ყოველივე ეს მოითხოვს სოფლად საინჟინრო სამსახურის როლის მნიშვნელოვან ამაღლებას.

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი, ხაზგასმით აღინიშნა შეკრებაზე, მიზნად გვისახავს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრ აღმავლობას, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას.

მიმდინარე ხუთწლედში, როგორც ეს გათვალისწინებულია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-85 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებით, საქართველოში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის სპეციალიზაცია მევენახეობის, მეჩაიეობის, სუბტროპიკული მეხილეობის დარგში. მარცვლეულის საშუალო წლიურმა წარმოებამ უნდა მიაღწიოს სულ ცოტა 740 ათას ტონას, ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებამ —460 ათას ტონას, ყურძნისა კი უნდა გადიდდეს 1—1,1 მილიონ ტონამდე. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტაში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სოფლის ტექნიკურ სამსახურს, მეცნიერებს, სპეციალისტებს, წარმოების მუშაკებს, ყველას, ვიზეც ასე თუ ისე დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის შემდგომი ინდუსტრიალიზაცია.

შეკრების მონაწილეებმა მოსთხოვეს მეურნეობების, ტექნიკური სამსახურების ხელმძღვანელებს, მექანიზატორებს, რომ საფუძვლიანად გააუმჯობესონ მექანა-ტრაქტორთა პარკის, ფერმების მოწყობილობის ექსპლოატაცია, მიაღწიონ საინჟინრო სამსახურისა და აგრონომიული, აგროქიმიური, ზოოტექნიკური და სოფლის სხვა სამსახურების მჭიდრო ურთიერთმოქმედებას, გაერთიანონ მეურნეობებისა და სახსოფლტექნიკის საწარმოების მეცადინეობა, განამტკიცონ სარემონტო-ტექნიკური ბაზა, გაფართოონ მექანიზატორთა კადრების მომზადება და უზრუნველყონ კვალიფიკაციის ამაღლება.

ტექნიკის ეფექტიანობის ამაღლებისათვის ბრძოლაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ პარტიულმა ორგანიზაციებმა, მეურნეობათა სპეციალისტებმა და ხელმძღვანელებმა. უფრო ფართოდ უნდა გაიშალოს მექანიზატორთა შეჯიბრება მანქანების შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებისათვის, განმტკიცდეს შრომის დისციპლინა, გაიზარდოს თითოეულის პასუხისმგებლობა ტექნიკის დაცვისათვის, მინდობილი უბნისათვის, დაინერგოს მუშაობის მოწინავე მეთოდები. მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულების ჩანერგვისას, არ შეიძლება გვერდი აეაროს უყაირათობის ფაქტებს. ერთი უმოქმედო მანქანაც კი დიდ ზარალს აყენებს მეურნეობას, სახელმწიფოს.

სერიოზული მუშაობა უნდა გაწეწოთ მექანიზატორთა შრომის გაუჯობესებისათვის ყველა მეურნეობაში გამომუშავების ტექნიკურად დასაბუთებულ ნორმებზე გადასვლის, პრაქტიკაში სპეციალიზებული რგოლებისა და კომპლექსური რაზმების მუშაობის გამოცდილების ფართო დანერგვის, პროგრესული ტექნოლოგიისა და მექანიზებული მუშაობის წარმოების წესების საფუძველზე. ბოლის შრომის აღმოფხვრაში ბევრი რამ არის დამოკიდებული მეცნიერებზე, კონსტრუქტორებზე, მათ წვლილზე სოფლის მეურნეობის მეცხიერულ-ტ ე ქ ნ ი კ ურ პროგრესში. სულ უფრო მტკიცედ უნდა დავნერგოთ პრაქტიკაში მეცნიერების, თანამედროვე ტექნიკის უახლესი მიღწევები, აქტიურად შევუწყოთ ხელი ახალი, სოფლისათვის საჭირო მანქანა-მექანიზმების გამოშვებას.

პარტიისა და მთავრობის, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ზრუნვა ჩვენი რესპუბლიკის მომდგომი აყვავებისათვის, აღინიშნეს მომხსენებლებმა და კამათში გამოსულებმა, რაც აისახა კერძოდ საქართველოს სსრ საშრომოთული და სუტტროპიკული კულტურების წარმოების შემდგომი გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში, თითოეული ჩვენგანისაგან მოითხოვს გავაორკეცოთ მეცადინეობა 1981 წლისა და მთლიანად ხუთწლედის გეგმისა და ვალდებულების რეალიზაციისათვის ბრძოლაში, მოვახდინოთ შემოქმედებითი ძალებისა და შესაძლებლობათა მობილიზაცია სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

შეკრების მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ ქართველი მექანიზატორები სოფლის ყველა მშრომელის მხარდამხარ მეთერთმეტე ხუთწლედს აღნიშნავენ მაღალი საწარმოო მიღწევებით მეურნეობის ყველა დარგში.

შეკრებაზე მიიღეს მიმართვა სოფლის მეურნეობის სფეროს ყველა მექანიზატორის, საშუალო რგოლის სპეციალისტის, ინჟინერ-მექანიზატორის, მეცნიერ მუშაკისადმი.

შეკრების მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ჯ. პატიაშვილმა.

შეკრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ვარძელაშვილი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე გ. მამაცაშვილი.

(საქინფორმი).

დროშები — ღირსეულთ

დიდი, სასიხარულო დღესასწაულია აჭარის მიწა-წყალზე. ზეიმობენ ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს მეათე ხუთწლედი და ახლა შთაგონებით აზორციელებენ ლენინური პარტიის XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. მათი თავდადებული გარჯა ღირსეულად დაფასდა — სამგზის ორდენოსანი აჭარის სსს რესპუბლიკა მეშვიდედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ამჯერად იგი დაჯილდოვეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევისათვის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1980 წლისა და მეათე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის.

ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა აჭარის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო აქტივის, მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავეთა, მეცნიერების და კულტურის მოღვაწეთა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა სამშობლოს საპატიო ჯილდოს გადაცემას.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. დიასამიძემ.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ჭითანავა, რომელმაც აჭარის მშრომელებს დამსახურებული ჯილდო მიულოცა.

დამსწრეთა ტაშის გრიალში ნ. ჭითანავამ აჭარის ასს რესპუბლიკის მშრომელთა წარმომადგენლებს გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

საპასუხო სიტყვაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის სოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ აჭარის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა საქმიანობის შეფასებისათვის.

სკკპ XXVI ყრილობისადმი ჩვენი რესპუბლიკის შრომითს პატაკში, — თქვა ამხ. პაპუნიძემ, — არის ასეთი სტრიქონიც: აჭარის მრეწველობამ 22 თებერვალს შეასრულა პროდუქციის რეალიზაციისა და მეტ წილ სახეობათა ნაწარმის გამოშვების მიმდინარე წლის ორი თვის გეგმა. პლანტაციებსა და ბაღებში წარმატებით მიმდინარეობს სამუშაოები, რომლებიც საფუძველს უყრის სუბტროპიკული კულტურების უხვ მოსავალს. გასაგებია, რომ ყოველივე ეს ყრილობას სიამაყის გრძნობით მოვახსენეთ.

კრებაზე გამოსულებმა ილაპარაკეს მოწინავე კოლექტივების სახელოვან შრომითს საქმეებზე, ადამიანთა პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ახალ აღმავლობაზე, რომელიც გამოიწვია სკკპ XXVI ყრილობის მუშაობამ, ყრილობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გაკეთებულმა მოხსენებამ, XXVI ყრილობის მიერ მიღებულმა ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა. როცა დღეს საკავშირო წითელ დროშას ვიღებთ, აღინიშნეს ორატორებმა, ვგრძნობთ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც გვეკისრება. ჩვენ წინაშე მნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული, რომელთა გადასაწყვეტად გამრჯედ, მთელი ძალ-ღონით უნდა ვიმუშაოთ.

ორატორებმა დამსწრეთ აღუთქვეს, რომ დამკვრელური შრომით ახალ წარმატებებს მიაღწევენ მეთერთმეტე ხუთწლედის ამოცანების, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. აღინიშნა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, მშენებლობების კოლექტივები, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკები ახლა აქტიურად ემზადებიან საკავშირო კომუნისტური შაბათობისათვის, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი „წითელი შაბათობის“ დღე შრომის უდიდესი ნაყოფიერებით აღნიშნონ.

საზეიმო კრების მონაწილეებმა მიიღეს მის

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა დაჯილდოების შესახებ

...ბაძე გუგული. შალვას ძე — ...ტაფონის რაიონის სოფელ ...ვერდის კოლმეურნეობის მე...ნახე.

...ბრიანი ასია სედრაკის ასული — ბრგადანოვკის რაიონის ფრუნ...ს სახელობის კოლმეურნეობის ...ელი.

...ბრაძე ბიკენტი ლავრენტის ძე — ...ბროლაურის რაიონის სოფელ ...ლიერის კოლმეურნეობის მეე...ე.

...ბლანოვა შაფიგა ტაგრვერდი...ა — ლაგოდეხის რაიონის კოლ...ურნეობა „კომინტერნის“ მე...ბაძოე.

...ატიშვილი მაყვალა სოლომონ...ს ასული — ადიგენის რაიონის ...ესოფელის სახელობის კოლმე...ნეობის მწველავი.

...ეშუარდია ინდიკო ტაგუს ძე — ...ენჯიხის რაიონის კიროვის სა...ლობის კოლმეურნეობის ბრიგა...ირი.

...ბერდიევა ბიჯანაზ ორჯუ ყზი — ...ბოლნისის რაიონის ფახრალოს ...ენახეობის საბჭოთა მეურნეო...ის მწველავი.

...ბაია ლეილა დავითის ასული — ...ბაშის რაიონის მახარაძის სა...ლობის კოლმეურნეობის მწვე...ავი.

...ბაშვილი შალვა ზაქარიას ძე — ...ცხეთის რაიონის მუხრანის მე...ესტეურნეობის საბჭოთა მეურნეობის ...ბოსტნე.

...ბერიშვილი საბედა ნიკოლო...ს ასული — საგარეჯოს რაიო...ის საგარეჯოს მევენახეობის საბ...ოთა მეურნეობის მევენახე.

...ბარგოთია ლუდიკო ნესტორის ...ასული — გეგეჭკორის რაიონის ...ზეი „პრავდის“ სახელობის კო...მეურნეობის მეჩაიე.

...ბილთარია ლუბა დავითის ასუ...ი — აბაშის რაიონის სტალინის ...ახელობის კოლმეურნეობის მე...ჩაიე.

...ბაწელაშვილი იოსეგ ნიკოლო...ზის ძე — გურჯაანის რაიონის სო...ფელ არაშენდის კოლმეურნეობის ...ევენახე.

...ბუბერია ვეელიონ აკაკის ძე. — ...ობის რაიონის სუბტროპიკული ...ულტურების საბჭოთა მეურნეო...ბა „კოლხეთის“ მეცილტრუსე.

...ბეფოშვილი სირანა გიორგის ...ასული — მცხეთის რაიონის საგუ...ამოს მებოსტნეობის საბჭოთა მე...ურნეობის მებოსტნე.

...ბილთაძე თამაზ გერმენტის ძე — ...ვანის რაიონის სტალინის სახე...ობის კოლმეურნეობის მესამინ...ე.

...ბერელიძე აკაკი ნესტორის ძე — ...ონის რაიონის პიპილეთის მეცხო...ველეობის საბჭოთა მეურნეობის ...ძღვი.

...ბერიკაშვილი ილიზბარ ოორა...ის ძე — თელავის რაიონის კოლ...ეურნეობა „მოწინავის“ ბრიგა...ირი.

...ბიწკინაშვილი ნიკო ზაქარიას ძე — ...გურჯაანის რაიონის სოფელ ...ამანის კოლმეურნეობის ბრიგა...ირი.

...ბოლოთაშვილი ნინო ივანეს ...ასული — კასპის რაიონის ახალქა...აქის მეცხოველეობის საბჭოთა ...ეურნეობის მწველავი.

...ბოკოშვილი ვეერა შალვას ...ასული — სოფელ სორმონის კოლ...ეურნეობის მეჩაიე, ქ. წყალ...ტუბო.

...ბოხუა რაფიენ კონდრატეს ძე — ...ზუგდიდის მეთაფირ პარკსაშ...ობის დირექტორი.

...ბუაძე გივი მიტროფანეს ძე — ...ულეკოძის რაიონის ქიტირის მე...ბოსტნეობა-მერძეეობის საბჭოთა ...ეურნეობის მებოსტნე.

...ბუაჩიძე ტრისტან ერმანოზის ...ე — ორჯონიკიძის რაიონის სო...ელ ფარცხნალის კოლმეურნეო...ის მესამინდე.

...ბუჩკაშვილი ჯუმბერ ფირუზის ...ე — სიღნაღის რაიონის სტალი...ის სახელობის კოლმეურნეობის ...ბრიგადირი.

...ბეიდავა კუჭი ძოკოს ძე — ...ხაკაიას რაიონის სტალინის სახე...ობის კოლმეურნეობის მეჩაიე.

...ბიძაშვილი ჭიჭიკო ზოსიმეს ...ე — ბოლნისის რაიონის ბოლ...ისის მევენახეობის საბჭოთა მე...ურნეობის ტრაქტორისტი.

...ბუნია კუტუნა დავითის ასუ...ი — ორჯონიკიძის რაიონის ზვა...ის მეცხოველეობის საბჭოთა მე...ურნეობის მუშა.

...ბგნიძე თიმოლ ნიკოლოზის ...ასული — თელავის სანერგე საბ...ოთა მეურნეობის მევენახე.

...ბზდელიანი ილამაზ ნიკოლო...ის ძე — ლენინის სახალხო დე...უტატთა რაიონული საბჭოს აღ...ასკომის სოფლის მეურნეობის ...ამმართველოს უფროსი.

...ბმეგბელი ნანული არშაკის ...ასული — გორის რაიონის ხვითის ...ეფესლეთის საბჭოთა მეურნეო...ის მეთესლე.

...ბმხოთაშვილი ელენე ალექსან...რეს ასული — კასპის რაიონის ...ორჯონიკიძის სახელობის კოლმე...ურნეობის მეჭარხლე.

...ბნჯაშვილი გიორგი ივანეს ძე — ...ბაგარეჯოს რაიონის სოფელ ნინო...წინდის კოლმეურნეობის მევენა...ხე.

...ბხარია სულიკო ჯოგოს ასუ...ი — ჩხოროწყუს რაიონის კი...ლინინის სახელობის კოლმეურნეო...ის მეჩაიე.

...ელაშვილი ზინა რაფიელის ...ასული — ახალციხის რაიონის ...ფარის მერძეეობა-მებოსტნეო...ის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

...ელაშვილი ქეთევან ოსეგის ...ასული — ზაშურის რაიონის კო...ლმეურნეობა „ზემო ქართლის“ მე...ჭარხლე.

...ელაშვილი რაულ სიმონის ძე — ...სოფელ გეზრულის კოლმეურ...ეობის მესამინდე, ქ. ჭიათურა.

...ორგაძე ნინო ვასილის ასუ...ი — თელავის რაიონის კიროვ...ის სახელობის კოლმეურნეობის ...ევენახე.

...ვალია შურა იაკინთეს ასული — სოფელ გეზრულის კოლმეურ...ეობის მეჩაიე, ქ. ჭიათურა.

...ვარამია გურამ ილეთიმეს ძე — ...ხაკაიას რაიონის გეჯრეთის მეჩა...ეობის საბჭოთა მეურნეობის ბრი...ადირი.

...ლუნჩაძე დავით პავლეს ძე — ...ზისტაფონის რაიონის ჭავჭავაძის ...ახელობის კოლმეურნეობის ბრიგ...ადირი.

...ბეჭდილება. დასაწყისი იხ. „კომ...ონისტი“, № 62, 63.

...ბოგიავა ლუარა პავლეს ასული — გეგეჭკორის რაიონის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მეჩაიე.

...ბოგოჭური მარო ლუკას ასული — ვარდაბნის რაიონის ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის ოპერატორი.

...ბოგოჭური ნათელა თოთიას ასული — წითელწყაროს რაიონის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის მევენახე.

...ბოგუაძე კარლო ილეფფერის ძე — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგოითის საბჭოთა მეურნეობის მესამინდე.

...ბონგაძე ლამარა სეგერიანეს ასული — ახალციხის რაიონის მინაძის მერძეეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

...ბოცაძე პავლე ვარდიონის ძე — თერჯოლის რაიონის სოფელ თუზის კოლმეურნეობის მევენახე.

...ბუდავაძე მერი ივანეს ასული — მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე.

...ბულუა მაგული შაზის ასული — ჩხოროწყუს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე.

...ბაბია ლეილა დავითის ასული — აბაშის რაიონის მახარაძის სა...ლობის კოლმეურნეობის მწვე...ავი.

...ბაბაშვილი შალვა ზაქარიას ძე — მცხეთის რაიონის მუხრანის მე...ესტეურნეობის საბჭოთა მეურნეობის ...ებოსტნე.

...ბერიშვილი საბედა ნიკოლო...ის ასული — საგარეჯოს რაიო...ის საგარეჯოს მევენახეობის საბ...ოთა მეურნეობის მევენახე.

...ბარგოთია ლუდიკო ნესტორის ...ასული — გეგეჭკორის რაიონის ...ზეი „პრავდის“ სახელობის კო...მეურნეობის მეჩაიე.

...ბილთარია ლუბა დავითის ასუ...ი — აბაშის რაიონის სტალინის ...ახელობის კოლმეურნეობის მე...ჩაიე.

...ბაწელაშვილი იოსეგ ნიკოლო...ზის ძე — გურჯაანის რაიონის კოლ...ეურნეობა „კომინტერნის“ მე...ბაძოე.

...ატიშვილი მაყვალა სოლომონ...ს ასული — ადიგენის რაიონის ...ესოფელის სახელობის კოლმე...ურნეობის მწველავი.

...ეშუარდია ინდიკო ტაგუს ძე — ...ენჯიხის რაიონის კიროვის სა...ლობის კოლმეურნეობის ბრიგა...ირი.

...ბერდიევა ბიჯანაზ ორჯუ ყზი — ...ბოლნისის რაიონის ფახრალოს ...ენახეობის საბჭოთა მეურნეო...ის მწველავი.

...ბაბია ლეილა დავითის ასული — ...აბაშის რაიონის მახარაძის სა...ლობის კოლმეურნეობის მწვე...ავი.

...ბაბაშვილი შალვა ზაქარიას ძე — ...ცხეთის რაიონის მუხრანის მე...ესტეურნეობის საბჭოთა მეურნეობის ...ებოსტნე.

...ბარგენოვი ალიბეგ ნიკოლო...ზის ასული — საგარეჯოს რაიო...ის საგარეჯოს მევენახეობის საბ...ოთა მეურნეობის მევენახე.

...ბარგოთია ლუდიკო ნესტორის ...ასული — გეგეჭკორის რაიონის ...ზეი „პრავდის“ სახელობის კო...მეურნეობის მეჩაიე.

...ბიღოთურია ლუბა დავითის ასუ...ი — აბაშის რაიონის სტალინის ...ახელობის კოლმეურნეობის მე...ჩაიე.

...ბაწელაშვილი იოსეგ ნიკოლო...ზის ძე — ლაგოდეხის რაიონის კოლ...ეურნეობა „კომინტერნის“ მე...ბაძოე.

...ბარაძე ბიკენტი ლავრენტის ძე — ...ბროლაურის რაიონის სოფელ ...ლიერის კოლმეურნეობის მევე...ახე.

...ბლანოვა შაფიგა ტაგრვერდი...ა — ლაგოდეხის რაიონის კოლ...ეურნეობა „კომინტერნის“ მე...ბაძოე.

...ატიშვილი მაყვალა სოლომონ...ს ასული — ადიგენის რაიონის ...ესოფელის სახელობის კოლმე...ურნეობის მწველავი.

...ეშუარდია ინდიკო ტაგუს ძე — ...ენჯიხის რაიონის კიროვის სა...ლობის კოლმეურნეობის ბრიგა...ირი.

...ბერდიევა ბიჯანაზ ორჯუ ყზი — ...ბოლნისის რაიონის ფახრალოს ...ენახეობის საბჭოთა მეურნეო...ის მწველავი.

...ბაია ლეილა დავითის ასული — ...აბაშის რაიონის მახარაძის სა...ლობის კოლმეურნეობის მწვე...ავი.

...ბაბაშვილი შალვა ზაქარიას ძე — ...ცხეთის რაიონის მუხრანის მე...ესტეურნეობის საბჭოთა მეურნეობის ...ებოსტნე.

...ბერიშვილი საბედა ნიკოლო...ზის ასული — საგარეჯოს რაიო...ის საგარეჯოს მევენახეობის საბ...ოთა მეურნეობის მევენახე.

...ბარგოთია ლუდიკო ნესტორის ...ასული — გეგეჭკორის რაიონის ...ზეი „პრავდის“ სახელობის კო...მეურნეობის მეჩაიე.

...ბილთარია ლუბა დავითის ასუ...ი — აბაშის რაიონის სტალინის ...ახელობის კოლმეურნეობის მე...ჩაიე.

...ბაწელაშვილი იოსეგ ნიკოლო...ზის ძე — გურჯაანის რაიონის კოლ...ეურნეობა „კომინტერნის“ მე...ბაძოე.

...ბარაძე ბიკენტი ლავრენტის ძე — ...ბროლაურის რაიონის სოფელ ...ლიერის კოლმეურნეობის მევე...ახე.

...ბლანოვა შაფიგა ტაგრვერდი...ა — ლაგოდეხის რაიონის კოლ...ეურნეობა „კომინტერნის“ მე...ბაძოე.

...ბარასელი დემერ ბოირგის ძე — ზუგდიდის რაიონის მეფინარგიას სახელობის კოლმეურნეობის მე...ჩაიე.

...ბონგაძე ლამარა სეგერიანეს ასული — ახალციხის რაიონის მინაძის მერძეეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

...ბოცაძე პავლე ვარდიონის ძე — თერჯოლის რაიონის სოფელ თუზის კოლმეურნეობის მევენახე.

...ბუდავაძე მერი ივანეს ასული — მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე.

...ბულუა მაგული შაზის ასული — ჩხოროწყუს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე.

...ბაბია ლეილა დავითის ასული —

შთამბეჭდავი სანახაობა

ო. თაქთაქიშვილის კომიკური ოპერა მოსკოვის კამერულ მუსიკალურ თეატრში

მოსკოვის კამერულმა მუსიკალურმა თეატრმა, რომლის ხამხატვრო ხელმძღვანელია საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიებისლაურეატი, პროფესორი ბ. პოკროვსკი, მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ხაბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ო. თაქთაქიშვილის ორმოქმედებიანი კომიკური ოპერა „მუსუსი“ (მ. ჯავახიშვილის მოთხრობის მოტივებზე). ბ. პოკროვსკის და ო. თაქთაქიშვილს წლების განმავლობაში აკავშირებთ მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები. ამ თანამეგობრობის შედეგად ამ რამდენიმე წლის წინათ დიდი თეატრის სცენაზე წარმატებით დაიდგა ქართველი კომპოზიტორის ოპერა „მთვარის მოტაცება“.

და აი, ახლა კიდევ ერთი წარმატება... სპექტაკლს თვითონ ო. თაქთაქიშვილი დირიჟორობდა.

პრემიერის შემდეგ ჩვენ ჩავიწერეთ რამდენიმე ინტერვიუ:

ბ. პოკროვსკი — სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი:

— სპექტაკლში ბევრია ქართველებისათვის დამახასიათებელი იუმორი, მომხიბლავი მასობრივი სცენები, სადაც მშვენივრად არის შეზავებული ქართული ხალხური ფოლკლორისათვის დამახასიათებელი ნიშნები... სპექტაკლის მთავარი თემა — ეს არის სიკეთე, რომელმაც ხძლია ბოროტებას... გულში ჩამწვდომია ო. თაქთაქიშვილის მუსიკა...

ვ. ხოდიკინი — მოსკოსცერტის გენერალური დირექტორი: — ყველაფერი ეს — მუსიკით, დადგმით, მხატვრობით დაწყებული და ბუტაფორებით დამთავრებული, მართლაც რომ, პირდაპირ საოცრად შთამბეჭდავი სანახაობაა. გილოცავთ, მეგობრებო, დამსახურებულ წარმატებას.

ო. თაქთაქიშვილი: — რამდენიმე თვის განმავლობაში ვმუშაობდი ამ შესანიშნავ კოლექტივთან და, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, რომ სპექტაკლმა გაიმარჯვა.

სპექტაკლში მთავარ როლებს ასრულებდნენ: ფეფო — ი. ბარტენევა, მიხა — ნ. კურპე.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.
ქ. მოსკოვი.

ინჟინერი, ხელოვანი

ალექსანდრ ეროვნული ქორეოგრაფიის წინაშე

როცა ეროვნული ქორეოგრაფიის წინაშე ცნობილი ინჟინრისა და ქორეოგრაფის გიორგი სალუქვაძის ამაგსა და დამსახურებაზე ვლაპარაკობთ, მარტო იმ ცეკვების უბრალო ჩამოთვლაც კი საკმარისია, რომელთა ავტორი ეს ღვაწლმოსილი ხელოვანია: „ფარცაკუკუ“ — გამარჯვებულ მეომართა მასობრივი ცეკვა, „კალმახობა“ „ფუნდრუკი“ — სპორტულ — მუშაითური ცეკვა, ინგილოური „შიპრობა“ მესხური „მძიმური“, ჯავახური ვაჟთა ცეკვა, — „იდუმალი“, მესხურ-ჯავახური ქალ-ვაჟთა ცეკვა-ფერხული „დიდება“ სახუმარო „ვარძიობა-ძიობა“, „ხელტარის ნადი“, შრომის მოტივებზე აგებული აჭარელ ქალთა ცეკვა და სხვა...

... ამ ცეკვების სახელწოდებებიღა იყო შემორჩენილი, ხოლო როგორი ილეთებით სრულდებოდა, მხოლოდ ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში თუ მიაკვლევდით. გიორგი სალუქვაძემ უხუცესთა შორის მოიძია, შეკრიბა და ამ ზეპირსიტყვიერი გადმოცემის საფუძველზე ხსენებული ცეკვების ილეთები აღადგინა, შესაფერისი მუსიკითაც შეამკო და ისე წარუდგინა ქართველ მაყურებელს.

აღსანიშნავია, რომ გიორგი სალუქვაძე მრავალმხრივი ადამიანია — იგი მუსიკოსი, პოეტი, მხატვარი და მოქანდაკეც არის. ასე რომ, გარდა ცეკვებისა რამდენიმე სიმღერის, ფერწერული და სკულპტურული ნაწარმოების ავტორია. ხშირად იგი ამა თუ იმ ცეკვას, მის ხასიათსა და ფორმას ჯერ ქანდაკებაში აცოცხლებს, ძერწავს და შემდეგ დგამს სცენაზე აღსანიშნავია, რომ გ. სალუქვაძე მის მიერ შექმნილი ყველა ცეკვის, მუსიკის, ტექსტისა და კოსტიუმების ესკიზთა ავტორიც არის. იგი ამჟამად რესპუბლიკაში ერთადერთი „გურული ხალხური სიმღერების აღმდგენელი და შემსწავლელი სკოლის“ უცვლელი ხელმძღვანელია, რომელიც მისივე თავგამოდების შედეგად დაარსდა 1968 წელს და უაღრესად დიდ ეროვნულ და საშვილიშვილო საქმეს აკეთებს...

შეუძლებელია გიორგი სალუქვაძეზე ისაუბრო და არ ახსენო მისი შემოქმედებითი ცხოვრების მეორე მხარე — საინჟინრო მოღვაწეობა. იგი პროფესიით ელექტროინჟინერია და „ბეჟუჟესის“ ამოქმედებიდან ესე იგი 1956 წლიდან დღემდე — მისი დირექტორიც. ამასთან იგი ოცდაათამდე რაციონალიზატორული წინადადებისა და გამოგონების ავტორიც გახლავთ. უნიკალური შემთხვევაა ხელოვანი და ინჟინერი, და ერთდროულად დამსახურებული მოღვაწის ორი წოდება: გ. სალუქვაძე საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეცაა და ამავე დროს რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერიც. არის საკავშირო და რესპუბლიკური ფესტივალებისა და კონკურსების ცხრა ოქროს მედლის კავალერი. თხუთმეტ წელზე მეტია საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების მახარაძის რაიონული გამგეობის თავმჯდომარეა. რა გასაკვირია, რომ მასზე საქართველოს დოკუმენტური ფილმების სტუდიაში შეიქმნა ორნაწილიანი კინოფილმი „შრომა და შემოქმედება“. გამოცემულია აგრეთვე წიგნი-მონოგრაფია, რომელთა ავტორები არიან მწერალი ბორის ჩორნი და პროფესორი ვანო შილაკაძე.

გიორგი სალუქვაძე მუდამ შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობს. ქართველი ხალხი, კიდევ ბევრი სიკეთეს მოელის მისგან.

ს. თოიძე.

მემატიანის სიზუსტით



მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ისტორიაში XX საუკუნის ოციანი წლები განსაკუთრებული პერიოდია. რევოლუციის მძაფრ ქარიშხლებში იწყება საქართველოს ისტორიის ახალი ფურცელი, ყალიბდება სრულიად ახალი ტიპის სახელმწიფო — საბჭოთა საქართველო, მასთან ერთად იბადება ქართული საბჭოთა მწერლობაც. ვიდრე ეს მწერლობა დღევანდელ სრულყოფილ სოციალისტური მწერლობის სახეს მიიღებდა, მას მძაფრი ბრძოლება გადახდა დასჭირდა. ოციანი წლები ამ მძაფრი ლიტერატურული ბრძოლების მთელი ეპოქაა, მღელვარებით წინაღმდეგობებითა და ქარტეხილებით აღსავსე. ამ პერიოდის მწერლობის დახასიათებას ეძღვნება ს. ჭილაიას წიგნი **„წლები და პრობლემები“**. ეს წიგნი სრულ წარმოდგენას გვაძლევს მთელ რიგ რთულ ლიტერატურულ პრობლემებზე, განხილულია მრავალი მწერლის შემოქმედება, რომანები, მოთხრობები, ლექსების ციკლები და პოემები. ავტორი მემატიანეს სიზუსტით აღნიშნავს ამ პერიოდის ფაქტებსა და მოვლენებს და ამავე დროს თანამედროვეობის თვალსაზრისით აფასებს აწ უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულ პერიოდს.

მძაფრ ლიტერატურულ ბრძოლებში დაიბადა და აღიარება მოიპოვა ქართულმა საბჭოთა მწერლობამ. კლასიკური მწერლობის ოქროს ფონდში შევიდა გ. ტაბიძის, მ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას, გ. ლეონიძის, ლ. ქიაჩელის, ტ. ტაბიძის, პ. კაკაბაძის, ი. გრიშაშვილის, შ. დადიანის, პ. იაშვილის, ს. ჩიქოვანის და სხვათა ამ პერიოდის საუკეთესო მხატვრული ქმნილებანი.

წიგნში თქვენს ყურადღებას იპყრობს ფაქტების, დოკუმენტების, პირველწყაროების საოცარი სიუხვე, მრავალფეროვნება და სიმდიდრე, რითაც ოციანი წლების მრავალფეროვანი ლიტერატურული ცხოვრების სრული სურათი იქმნება. წიგნში ობიექტურად და პირუთვნელად არის დახასიათებული ქართული სიმბოლიზმის, იმპრესიონიზმის, ფუტურიზმის, ეგრეთ წოდებული აკადემიური ასოციაციის პროლეტარული მწერლობის ჩამოყალიბების ისტორია. მოდერნისტული სკოლების დახასიათებისას ავტორი ხაზს უსვამს მათს ეროვნულ ხასიათს, საგანგებოდ გამოყოფს ამ სკოლებისათვის დამახასიათებელ ქართულ ნიშან-თვისებებს და ამ ფონზე განიხილავს მათს როლს ჩვენი ლიტერატურული აზროვნების ისტორიაში.

არსებითად, ოციანი წლების მთელ ლიტერატურულ პროცესს განსაზღვრავდა ამ პერიოდის ლიტერატურული ჯგუფების თუ სკოლების — ცისფერყანწელების, აკადემიური ასოციაციის, ქართველი ფუტურისტების, პროლეტარული მწერლების, არიფიონელების არსებობა. მათი ურთიერთობა და ლიტერატურული ბრძოლა ოციანი წლების ლიტერატურულ პროცესს მთელი სისრულით წარმოაჩენდა. ავტორი გვიჩვენებს, რომ ამ ლიტერატურულ ძვრებში შეიქმნა ბევრი მრავალფეროვანი და საინტერესო ნაწარმოებები. განხილულია ეს წიგნები და მათი ავტორები. საგანგებო აღნიშვნას იმსახურებს წიგნში წარმოდგენილი საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობის (1926 წ.) მასალები.

ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში სერგი ჭილაიას ეს ახალი წიგნი „წლები და პრობლემები“ ჯეროვან ადგილს დაიმკვიდრებს.

რ. მუხაძე.

„ორი მონადირე“ კვლავ ეკრანზეა

გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორის ალექსანდრე წუწუნავას დაბადების მე-100 წლისთავის საიუბილეოდ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სადუბლიაჟო და აღსადგენი ფილმების შემოქმედებითმა გაერთიანებამ (დირექტორი — გ. ბეგიაშვილი, მხატვრული ხელმძღვანელი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. ტაბლიაშვილი) შემოგვთავაზა ახალი რედაქცია ალ. წუწუნავას ფილმისა „ორი მონადირე“, რომლის ლიტერატურული პირველწყაროა ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ი. ზუკრაბაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობა. ფილმი ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის გ. დოლიძის ხელმძღვანელობით აღადგინა შემოქმედებითმა ჯგუფმა (კომპოზიტორი გ. ბზვანელი, მემონტაჟე ც. ციხისელი, ხმის ოპერატორი რ. კეზელი, სურათის დირექტორი გ. სვანელი). ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, 1926 წელს გადაღებული ფილმი დღესაც იტაცებს მაყურებელს თავისი ცხოვრებისეული სიმართლითა და შერული მწერლობის ჩამოყალიბების ისტორია. მოდერნისტული სკოლების დახასიათებისას ავტორი ხაზს უსვამს მათს ეროვნულ ხასიათს, საგანგებოდ გამოყოფს ამ სკოლებისათვის დამახასიათებელ ქართულ ნიშან-თვისებებს და ამ ფონზე განიხილავს მათს როლს ჩვენი ლიტერატურული აზროვნების ისტორიაში.

ამჟამად გ. დოლიძე მუშაობს ალ. წუწუნავას კიდევ ერთი ფილმის „ხანუმას“ აღდგენაზე. როგორც თბილისის კინოს სახლში გამართულ „ორი მონადირის“ პრემიერაზე ითქვა, „ხანუმას“ მალე ვიხილავთ და სრულიად ბუნებრივია ჩვენი ინტერესი ამ პირველი ქართული კინოკომედიის მიმართ თუნდაც იმიტომ, რომ ელ. ჩერქეზიშვილთან ერთად, რომელიც ხანუმას როლს ასრულებს, ვნახავთ ვ. აბაშიძეს, ტ. აბაშიძეს, ც. წუწუნავას, ვ. გუნიას, ლ. კავსაძეს, თ. ბოლქვაძეს, მ. ჭიაურელს, კ. მიქაბერიძეს და სხვა შესანიშნავ მსახიობებს.

გ. ლომიძე.

„ეროვნული ბიბლიოთეკა“

თასების მფლობელთა თასზე ევროპელი ბიბლიოთეკა

საპასუხო შეხვედრების მოლოდინში

საზღვარგარეთის სპორტული პრესა კვლავინდებურად დიდ ყურადღებას უთმობს ევროპული ტურნირების მეოთხედფინალურ შეხვედრებს და კერძოდ, თასების მფლობელთა თასის გათამაშებას.

თასების მფლობელთა თასზე ლონდონის „ვესტ ჰემ“-თბილისის „დინამოს“ შეხვედრასთან ერთად ცენტრალურად ითვლება „ფორტუნა“ (დიუსელდორფი) — „ბენფიკას“ მატჩიც. აქ უნდა გავიხსენოთ ის გარემოებაც, რომ თასების მფლობელთა თასის ფინალური მატჩი სწორედ დიუსელდორფის სტადიონზეა დანიშნული და, თუ „ფორტუნა“ ფინალში გავიდა, დიდი უპირატესობა ექნება. რაც შეეხება „ბენფიკასთან“ შეხვედრას, მან 35 ათას მაყურებელს გაუცრუა იმედი. როგორც მიმმიზილველი ჰერბერტ ჰომანი (გფრ) მიიჩნევს, თამაშის კულტურის თვალსაზრისით „ბენფიკამ“ უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა და არც ძალისმიერ შეხლა-შემოხლის დროს დაუთმო რაიმე მეტოქეს. „ფორტუნა“, რომელსაც წინა ხაზზე ჰყავდა ვენცელი და ცნობილი თავდამსხმელი კ. ალოფსი, ცდილობდა სწრაფი შეტევებით დაეთრგუნა „ბენფიკა“, მაგრამ სტუმრები შეგებულად ანეელბდნენ ტემპს, შესანიშნავი ცენტრალური მცველის ჰუმბერტოს მოთავეობით წყნარად იცავდნენ თავს. მიმმიზილველი აღნიშნავს „ბენფიკას“ თავდამსხმელების კარლოს მანუელისა და ზალინას ფრიად მწვავე თამაშს კონტრშეტევებისას და იმასაც, რომ ამ დღეს მათ მხარი ვერ აუბა სხვა დროს ასე ძლიერმა ცენტრფორვარდმა რეინალდომ. მატჩის შემდეგ ექსპერტებმა არაერთი „ქათინაურო“ გამოთქვეს „ბენფიკას“ უნგრელი მწვრთნელის, 67 წლის ლაიოშ ბაროტის მიმართ. ბუდაპეშტის „ნეფშპორტმა“ მატჩის ანგარიში ასე დაასათაურა: „ვაშა, ბაროტი!“.

გარკვეული მოულოდნელობა იყო ფრე (2:2) იენის „ერნსტ-აბეშპორტფელდზე“, სადაც „კარლ ცაისი“ სრულ ფავორიტად ითვლებოდა. აქ მიმმიზილველები იმით ხელმძღვანელობდნენ, რომ გერმანელებმა გათამაშებიდან გამოთიშეს „რომა“ და თასის მარშანდელი მფლობელი „ვალენსია“ და თავისი ქვეყნის პირველობაზე ჩემპიონობისათვის იბრძვიან, „ნიუპორტ ქაუნთი“ კი ინგლისის მესამე ლიგაში (აქ 24 გუნდი თამაშობს) მეცხრამეტე ადგილზეა. ამის მიუხედავად, არ შეიძლება ითქვას, რომ „კარლ ცაისი“ აგდებულად მოექცა მეტოქეს. როცა მატჩის წინ კოროსპონდენტმა ჰკითხა გერმანელთა ცენტრალურ მცველ შნუპპაზეს, „როგორ ეგუება გუნდი ფავორიტის როლს მომავალ შეხვედრაში“, ფეხბურთელმა უპასუხა „ამ პროფესიონალთა კლუბსაც შეუძლია ხიფათს გადაგვყაროსო“. მას ჩვენს მესამე ლიგის გუნდებს ვერ შევადარებთ, მარტლაც დიდი შეუპოვრობით თამაშობდა. მისი რამდენიმე ფეხბურთელი, მიმმიზილველ კლაუს ტემანის აზრით, თამამად იმსახურებს იმას, რომ ინგლისის პირველ ლიგაში გამოდიოდეს. „კარლ ცაისს“ ამ დღეს არა ჰყავდა თავისი უძლიერესი მცველი კაპიტანი ვაიზე (დაშავებულია), უმისოდ კი დაცვას ბზარი გაუჩნდა. აი, რა განაცხადა კაპიტანმა მატჩის შემდეგ: „ჩვენ ახლა, ბუნებრივია, ნიუპორტში ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ უნდა დავირაზმოთ. მე ვიმედოვნებ, რომ თამაშში მონაწილეობას მივიღებ“. მატჩს ესწრებოდა უეფას კომისარი ერიკ ჰილსტრუმი. კოროსპონდენტის შეკითხვაზე, მოულოდნელი იყო თუ არა მისთვის მატჩის შედეგი, „კომისარმა უპასუხა: „არავითარ შემთხვევაში. მე ვიცოდი „ნიუპორტის“ ძალა.

მხოლოდ 7 ათასი კაცი დაესწრო ვასილ ლევსკის სტადიონზე სოფიის „სლავიის“ და როტერდამის „ფეიენოორდის“ თამაშს. ამას „ნაროდენ სპორტის“ მიმმიზილველ მალკო სტეფანოვი ხსნის არა „სლავიის“ ბოლო ადგილით ეროვნულ ჩემპიონატში, არამედ ძალზე ცუდი ამინდით. „სლავიის“, მართალია, არა ჰყავდა ბულგარეთის № 1 მოთამაშე ფელაზაკოვი, მაგრამ სამაგიეროდ დიდად გამოიჩინა თავი ნაკრების გარეშმარმა ცვეტკოვმა (მან 2 ბურთი გაიტანა). „ნაროდენ სპორტი“ ძალიან აქებს „სლავიას“, მაგრამ ჰოლანდიელები აცხადებენ, რომ 2:3 სავსებით აძლევთ ხელს. „ფეიენოორდის“ ნახევარმცველმა ნატენმა სოფიელ კორესპონდენტებთან საუბარში თქვა, „ორივე საპასუხო ბურთი ჩვენ უფრო იოლად გავიტანეთ, ვიდრე მოსალოდნელი იყო და ახლა საპასუხოზე შეხვედრაში 1:0 ნახევარფინალისაკენ გზას გაგვიხსნისო.

ერთი სიტყვით, პირველი შეხვედრების შემდეგ თბილისის „დინამოს“ გარდა ვერავინ მოახერხა დიდი უპირატესობის მოპოვება. ყველა საკითხი ღიად რჩება და ეს გარემოება, ცხადი, ზრდის საპასუხო მატჩებისადმი დიდ ინტერესს.

გ. გამრეკელი.

ფაქტები □ მოვლენები □ კომენტარი □ გამოხმაურება

ბაკინსკი და ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

საბერძნეთის დედამიწის ზურგზე

16 მარტი

საბერძნეთი

პროტესტი ძლიერდება

ათენი. საბერძნეთში ფართოვდება საზოგადოებრიობის მოძრაობა საბერძნეთის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების ბაზების გაწყვეტის წინააღმდეგ. ამ ბოლო დროს გამართულ მიტინგებსა და დემონსტრაციებზე ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ძალებმა დაგმეს ომის ფსიქოზის გაძლიერების, საბერძნეთში უცხოთის სამხედრო ბაზების ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ავანტიურისტული აგრესიული მიზნებით გამოყენების პოლიტიკა. უცხოთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისათვის მებრძოლმა სრულიად საბერძნეთის კომიტეტმა ქვეყნის მთავრობასა და პოლიტიკურ პარტიებს მიმართა მოთხოვნით შეწყვეტონ ათენში ბაზების შესახებ წარმოებული მოლაპარაკება, საბოლოოდ მოსპონ ამერიკა, — ნატოს სამხედრო ობიექტები საბერძნეთის მიწა-წყალზე.

კაკინსტანი

აჩქარებენ გამოცდას

დელი. როგორც ინდოეთის ყოველკვირეული „ბლიცი“ იუწყება, პრეზიდენტმა ზია-ულ-ჰაკმა გასცა განკარგულება დაიჩქარონ პაკისტანში ბირთვული მოწყობილობის გამოცდა და მოაწყონ აფეთქება მიმდინარე წლის არა ნოემბერში, არამედ მაისში.

ამას გარდუვალად მოჰყვება დაძაბულობის შემდგომი გაფწვავება სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ აზიის რაიონში, რითაც უწინარეს ყოვლისა დაინტერესებული არიან ამერიკის შეერთებული შტატები და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ხაზს უსვამს ყოველკვირეული.

ვაშინგტონი

ჭერორისტული აქციებს

ვაშინგტონი. რ. რეიგანის ადმინისტრაციის „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის „პროპაგანდისტული კამპანიის ხმაური ნიღბავს განზრახულ ტერორისტულ აქციებს სოციალისტური . კუბის წინააღმდეგ.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, „პრეზიდენტ რეიგანის ზოგიერთი მრჩეველი ჯიუტად მოითხოვს შეიარაღებული რეიდები მოაწყონ“ კუბაში კუბელ ემიგრანტთა ძალებით, რომლებიც მოკალათებული არიან ამერიკის შეერთებულ შტატებში. სააგენტო არ ასახელებს ამ „მრჩეველებს“, მაგრამ მოგვაგონებს, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი ახლანდელი მაღალი თანამდებობის თანამშრომელი, „ლათინური ამერიკის ქვეყნების საქმეთა სპეციალისტი“ ვინმე როჯერ ფონტენი არის „სანტა-ფეს კომიტეტის“ წევრი, რომელიც აშკარად მოითხოვს კუბის წინააღმდეგ ბანდიტური გამოხდომის მოწყობას.

როგორც ჟურნალი „პერეიდი“ იუწყება, ამ მიმართულებით გააქტიურა საქმიანობა სულ ცოტა კუბის საწინააღმდეგო 10 ტერორისტულმა ორგანიზაციამ, რომელთა შტაბ-ბინები განლაგებულია ფლორიდის შტატში, სულ რაღაც 140 კილომეტრზე თავისუფლების კუნძულიდან. ვაშინგტონის „მკაცრი“ პოლიტიკით შთაგონებული ტერორისტული ბანდები ინტენსიურ მზადებას გადიან მრავალრიცხოვან ბაზებზე, აწყობენ საიდუმლო შეხვედრებს კუბის საწინააღმდეგო აქციების განხორციელებაში მეცადინეობის კოორდინაციისათვის, რომლებიც „მალე უნდა დაიწყოს“. ჟურნალ „პერეიდის“ მონაცემებით, ეს ტერორისტები, თავით ფეხამდე არიან შეიარაღებული, მათს არსენალში სადესანტო ხომალდებიც კი შედის“.

სირია

ჩაბარდნენ ხელისუფალთ

დამასკო, ის პირნი, რომლებმაც 8 მარტს ხელი იგდეს პაკისტანის ავიაკომპანიის თვითმფრინავი, ჩაბარდნენ სირიის ხელისუფალთ. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც დამასკოს აეროპორტში დაეშვა თვითმფრინავი, რომელშიც 54 პოლიტიკური პატიმარი იყო და რომლებიც პაკისტანის ხელისუფლებმა გათავისუფლეს ადრე მიღწეული მორიგების შესაბამისად. 102 მძევალმა და ეკიპაჟის წევრებმა დატოვეს თვითმფრინავი, რომელშიც მათ 13 დღე გაატარეს.

ფოტოობიექტივი ამხილებს

ლაზერი—სამხედრო მიზნით



ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობს მილიტარისტულ მზადებას, დაჩქარებით ქმნის ახალი სასიკვდილო იარაღის მთელ სისტემებს, კერძოდ, ლაზერულ იარაღს. უკანასკნელ წლებში ლაზერის სხივის სამხედრო მიზნით გამოყენებასთან დაკავშირებულ კვლევითს სამუშაოებზე ვაშინგტონმა ორ მილიარდამდე დოლარი დახარჯა. ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალები უახლოეს დროში აპირებენ გამოსცადონ „ბოინგ-135“ მოდიფიცირებული თვითმფრინავი. (სურათზე) ლაზერული დანადგარი.

იუპი-საკდესის ფოტო.

გეგმაევნ ჭერორისტულ აქციებს

ვაშინგტონი. რ. რეიგანის ადმინისტრაციის „ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის „პროპაგანდისტული კამპანიის ხმაური ნიღბავს განზრახულ ტერორისტულ აქციებს სოციალისტური . კუბის წინააღმდეგ.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, „პრეზიდენტ რეიგანის ზოგიერთი მრჩეველი ჯიუტად მოითხოვს შეიარაღებული რეიდები მოაწყონ“ კუბაში კუბელ ემიგრანტთა ძალებით, რომლებიც მოკალათებული არიან ამერიკის შეერთებულ შტატებში. სააგენტო არ ასახელებს ამ „მრჩეველებს“, მაგრამ მოგვაგონებს, რომ ეროვნული უშიშროების საბჭოს ერთ-ერთი ახლანდელი მაღალი თანამდებობის თანამშრომელი, „ლათინური ამერიკის ქვეყნების საქმეთა სპეციალისტი“ ვინმე როჯერ ფონტენი არის „სანტა-ფეს კომიტეტის“ წევრი, რომელიც აშკარად მოითხოვს კუბის წინააღმდეგ ბანდიტური გამოხდომის მოწყობას.

როგორც ჟურნალი „პერეიდი“ იუწყება, ამ მიმართულებით გააქტიურა საქმიანობა სულ ცოტა კუბის საწინააღმდეგო 10 ტერორისტულმა ორგანიზაციამ, რომელთა შტაბ-ბინები განლაგებულია ფლორიდის შტატში, სულ რაღაც 140 კილომეტრზე თავისუფლების კუნძულიდან. ვაშინგტონის „მკაცრი“ პოლიტიკით შთაგონებული ტერორისტული ბანდები ინტენსიურ მზადებას გადიან მრავალრიცხოვან ბაზებზე, აწყობენ საიდუმლო შეხვედრებს კუბის საწინააღმდეგო აქციების განხორციელებაში მეცადინეობის კოორდინაციისათვის, რომლებიც „მალე უნდა დაიწყოს“. ჟურნალ „პერეიდის“ მონაცემებით, ეს ტერორისტები, თავით ფეხამდე არიან შეიარაღებული, მათს არსენალში სადესანტო ხომალდებიც კი შედის“.

პოლონეთი:

ამხილებენ ანტისოციალისტურ საქმიანობას

ვარშავა, პოლონეთის ცენტრალური ტელევიზიით აჩვენეს გადაცემა, რომელიც ამხელს კონტრრევოლუციური ორგანიზაცია „დამოუკიდებელი პოლონეთის კონფედერაციის“ და მისი მეთაურის მოჩულსკის ანტისახელმწიფოებრივ და ანტისოციალისტურ საქმიანობას. ამჟამად მოჩულსკი დაპატიმრებულია და მიმდინარეობს გამოძიება მისი საქმის გამო.

დოკუმენტები, ფოტოსურათები, სხვა ნივთიერი მასალები მოწმობენ ამ დაჯგუფების ძირგამომთხრელ საქმიანობას, აშკარავებენ „კონფედერაციის“ ლიდერებისა და წევრების კავშირს დასავლეთის სპეცსამსახურებთან და ანტიკომუნისტურ ცენტრებთან, ეგრეთ წოდებულ „ლონდონის ემიგრანტულ მთავრობასთან“, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის რვანშისტულ წრეებთან და გესტაპოს ყოფილ აგენტებთან. დამოუკიდებელი პოლონეთის კონფედერაცია აშკარა ანტისოციალისტური ორგანიზაციაა, რომელიც მოითხოვს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში კონსტიტუციური წყობილების ძალადურ ლიკვიდაციას.

მეორე ანტისოციალისტური ორგანიზაცია „კოს-კორის“ წევრები — სოციალიზმის მოწინააღმდეგენი მოჩულსკის უმნიშვნელენ რეკლამას, ცდილობდნენ წარმოედგინათ იგი წმინდულის როლში. „კოს-კორის“ ინიციატივით პოლონეთში დაიწყო იმ მოთხოვნაზე ხელმოწერების შეგროვების კამპანია, რომ გათავისუფლონ მოჩულსკი და სოციალიზმის სხვა აშკარა მოწინააღმდეგეები. ამ კამპანიაში ჩაითრიეს პროფგაერთიანება „სოლიდარობის“ ზოგიერთი ხელმძღვანელი.

„სოლიდარობის“ ზოგიერთი ლიდერი მოჩულსკის განთავისუფლებას აყენებდა როგორც ძირითად მოთხოვნას მთავრობასთან მოლაპარაკების მოწყობის დროს. ხელისუფლებეს ზეგავლენის მოხდენის მიზნით სოციალისტური წყობილების მოწინააღმდეგენი ქვეყანაში აწყობდნენ „საპროტესტო აქციებს“, უშვებდნენ ფურცლებს, რომლებშიც მოითხოვდნენ ამ კონტრრევოლუციონერთა განთავისუფლებას.

ლრმა კონსპირაცია, საკუთარი სადაზვერვო სამსახური, საზღვარგარეთის კურიერები, დივერსიულ-ძირგამომთხრელი რადიოსადგურ „თავისუფალი ევროპისათვის“ ცილისმწამებლური მასალების მომზადებისა და გადაცემის კარგად შეფენილი ბადე — ეს ის ფაქტორებია, რომელთა საშუალებითაც ანტისოციალისტურ ორგანიზაციებს ეცადნენ ხელი ეშალათ ეროვნული ეკონომიკისა და ეროვნული ინფრასტრუქტურის ნორმალური ფუნქციონირებისა, ეროვნული ეკონომიკისა,